ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 3 აპრილი, 2017 №78 (7313) ფასი: 50 თეთრი



## ანატოლი ბიბილოვი: „თბილისთან გზა არ დაიკეტება“

გვ.4

**31 მარტიდან მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები**

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი




# ვახტანგ რჩეულიშვილი: „გუკა რჩეულიშვილი 11 აპრილს გამოდის“



უმძიმეს დღეში ვარ, ამაზე მეტი საუბარი არ შემიძლია. დღეს ჩემთვის ყველაზე სასიხარულო, რაც ხდება, არის ის, რომ, მთავარია, ჩემი გუკა გამოდის. მაია მაქსიმალურად აწამეს, რუსუდანი დააკავეს. რაღას იზამენ ახლა, თავებს ხომ ვერ მოგვაჭრიან?! კიბო მაქვს მე, კიბო აქვს მაიასაც. რუსუდანია ერთადერთი ჯანმრთელი და ღმერთმა ჯანმრთელად ამყოფოს



გვ.7



## მარინე ცუცქირიძე: „პროკურატურას საპროცესო გარიგებასა და ქონებაზე ყადაღის ახსნას ვთავაზობთ“

გვ.7

# ასლან აბაშიძე საქართველოში ბრუნდება?



გვ.3

ნატო იმნაძე: „ასლან აბაშიძემ მამაჩემს პერანგში ხელი ჩასჭიდა და სახისა და მკერდის არეში რამდენჯერმე ესროლა“



„საქართველოს ყველა ხელისუფლება ნოდარ იმნაძის მკვლელთან წარმატებით ვაჭრობდა“

გვ.5

## აფხაზეთში რუსეთის სამხედროებისთვის ქალაქი შენდება

გალელებისთვის ბინადრობის მოწმობების დარიგება იწყება



ISSN 1987-9385

## თენგიზ შარმანაშვილი: „ოპოზიცია ბოლომდე უნდა იბრძოლოს“



გვ.2

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# თენგიზ შარმანაშვილი: „ოპოზიცია ბოლომდე უნდა იბრძოლოს“

## რა ხდება საკონსტიტუციო კომისიაში

ნათია ხურცილავა



სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი, კონსტიტუციონალისტი თენგიზ შარმანაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ვენეციის კომისიის წინასწარ განწყობებს პროექტთან დაკავშირებით ვერასდროს გაიგებ.

***– ბატონო თენგიზ, ოპოზიცია ხელისუფლებისგან ითხოვს, 15 აპრილამდე საკონსტიტუციო ცვლილებების ვარიანტი გამოაქვეყნოს. გასულ კვირას თბილისში ვენეციის კომისია იმყოფებოდა, რომელსაც ხელისუფლებამ ცვლილებების შავი ვარიანტი გადასცა. კომისიაში რა დონეზეა სამუშაოები შესრულებული?***

– კომისიის ჯგუფებში სამ რაუნდად არის დაყოფილი სამუშაოები. პირველი რაუნდი იყო აზრების გაცვლა, მეორე – მუხლობრივი საკითხების განხილვა და მომზადება. ეს ორი ეტაპი დასრულებულია. მესამე რაუნდის წინ განიხილება ის შედეგები, რომლებიც ვენეციის კომისიას გადაეცა. საუბარია სამუშაო, შავ ვარიანტზე. მესამე რაუნდი დაეთმობა წინასწარი ვარიანტის დაზუსტებებს. კომისიამ სამუშაოები 30 აპრილამდე უნდა დაასრულოს.

***– მოესწრება?***

– კომისიის თავმჯდომარემ ეს გრაფიკი სამუშაოების დაწყებისას განსაზღვრა. სწორედ გრაფიკიდან გამომდინარე, 15 აპრილამდე კომისიის წევრებს დაგვირიგდება ეს ვარიანტი.

***– ძირითადად კონსტიტუციის გადასინჯვა პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით მიმდინარეობს.***

– არა, არა. ეს არის აბსოლუტურად შავი პიარი.

***– არ შეიცვლება პრეზიდენტის არჩევის წესი?***

– რა თქმა უნდა, მაგრამ პრეზიდენტის არჩევის წესი არის ერთ-ერთი საკითხი სხვა საკითხებთან ერთად. კონსტიტუციაში ბევრი სხვა საკითხის დაზუსტება და გასწორება ხდება, რაც იგნორირებულია. ბევრი კონკრეტული მუხლის დახვეწა ხდება. მათ შორის პარლამენტთან დაკავშირებული მუხლების, ასევე მთავრობასთან დაკავშირებული ნორმების, მათ შორის, პრეზიდენტთან დაკავშირებული საკითხების.

***– თამარ ჩუგოშვილი ამბობს, რომ ვენეციის კომისიას არანაირი წინასწარი სიტყვიერი შენიშვნები არ ჰქონია პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით.***

– მე მჯერა ქალბატონი ჩუგოშვილის, ვინაიდან ის აღწერს იმ შეხვედრებს, რომლებიც მან პირადად გამართა ვენეციის კომისიის წევრებთან.

***– როგორ დასკვნას დადებს ვენეციის კომისია, როგორია მათი წინასწარი განწყობები?***

– 2010 წელს მე ვიყავი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მდივანი და არაერთხელ მიხდებოდა მათთან შეხვედრა. ვენეციის კომისიასთან მუშაობის დიდი გამოცდილება მაქვს და, მერწმუნეთ, რომ მათ წინასწარ განწყობებს, რაც უნდა მოინდომოთ პროექტთან დაკავშირებით, ვერ გაიგებთ. სანამ არ დადებენ საბოლოო დოკუმენტს, მანამდე გხვდებიან, გისვამენ უამრავ დამაზუსტებელ კითხვას, რომ ზუსტად მიიღონ შენგან ამომწურავი ინფორმაცია.

***– ამ შეხვედრებზე მათი წინასწარი განწყობები მაინც როგორი იყო?***

– ისინი არავითარ შემთხვევაში არ გასცემენ, თუ რას ფიქრობენ წინასწარ, სანამ საბოლოო პროექტი არ დაიდება, ეს გამორიცხულია. თუ ვინმემ გითხრათ, რომ უკვე ცნობილია ვენეციის კომისიის წინასწარი პოზიცია, მას შეცდომაში შეჰყავხართ. საუბარია მაღალი დონის პროფესიონალებზე, მათ შორის თავიანთი განწყობებისა და ემოციების მართვის კუთხითაც.

***– ვენეციის კომისიის შენიშვნებს რამდენად გაითვალისწინებს ეს ხელისუფლება? 2010 წელს შექმნილ კომისიას ბევრი შენიშვნა არ გაუთვალისწინებია.***

– დიახ, გეთანხმებით, არ გაუთვალისწინებია, თუმცა, საბოლოო დასკვნა გავა თუ არა და რას გაითვალისწინებს იმ შენიშვნებიდან, ამაზე პასუხს კომისია ვერ აგებს, რადგან კენჭს პარლამენტი უყრის.

***– ეს ხელისუფლება გაითვალისწინებს?***

– მე მახსენდება ირაკლი კობახიძის პირველ სხდომაზე გაკეთებული განცხადება, რომელიც სწორედ ამ საკითხს ეხებოდა. მან თქვა, რომ არ იქნება ის დებულება მიღებული, რომელზეც ვენეციის კომისიის უარყოფითი დასკვნა იქნება. შესრულდება თუ არა ეს დაპირება, ვერ გეტყვით, თუმცა, მე მჯერა მისი, რომ ის ამ პირობას შეასრულებს.

***– ოპოზიცია აცხადებს, რომ თუ საარჩევნო სისტემა არ შეიცვლება, კომისიას პროტესტის ნიშნად დატოვებს. შეიცვლება საარჩევნო სისტემა?***

– ეს ძალიან ცუდი იქნება, ოპოზიციამ არ უნდა დატოვოს კომისია, რადგან მე მაქვს 2010 წლის მწარე გამოცდილება, როდესაც უამრავმა პოლიტიკურმა პარტიამ კომისიაში მუშაობაზე უარი თქვა, რაც საბოლოოდ აისახა კიდეც შედეგზე. ჩემი პოზიციაა, რომ ადამიანმა ბოლომდე უნდა იბრძოლოს. უკვე მიმდინარეობს განხილვები კომისიაში საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით.

***– შერეული სისტემიდან პროპორციულზე გადავალთ?***

– არათუ გადავდივართ, დეტალებზე მიდის დავა, რომ გადაუნაწილებელი ხმები პირველ ადგილზე გასულმა ძალამ კი არ აიღოს, არამედ სრულად გადანაწილდეს და ა.შ. ამიტომ, მე მაინც მგონია, რომ ოპოზიციამ ბოლომდე უნდა იბრძოლოს, სანამ პროექტის ბოლო წინადადებას წერტილი არ დაესმება, თუმცა, მე პოლიტიკური ასპარეზი დავტოვე და არც ვაპირებ, დავუბრუნდე პოლიტიკურ საქმიანობას, მაგრამ მე ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ.

# ნინო ბურჯანაძე: „კონსტიტუციას ივანიშვილს არგებენ“





– საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის მიზანია, რაც შეიძლება კომფორტულად მოარგოს კონსტიტუცია ბიძინა ივანიშვილს.

ასე შეაფასა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ საკონსტიტუციო კომისიაში განვითარებული მოვლენები.

– მე ნამდვილად არ ვთვლი, რომ დღეს ხელისუფლებაში უნდა ვაკრიტიკო კვირიკაშვილი, კობახიძე ან ნებისმიერი მინისტრი, იმიტომ, რომ აბსოლუტურად ყველა მათგანის ნებისმიერი ნაბიჯი დამოკიდებულია ბიძინა ივანიშვილის ხასიათზე, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, აშკარად იკვეთება მცდელობა იმისა, რომ აბსოლუტურად ყველა სახელისუფლებო შტო გაკონტროლდეს ბიძინა ივანიშვილის მიერ, ამ გზაზე ბოლო ბასტიონი კი ხალხის მიერ არჩეული და ლეგიტიმაციის მაღალი დონის მფლობელი საპრეზიდენტო ინსტიტუტია.

სწორედ ამიტომ, ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებით, ხდება ამ ინსტიტუტის მოსპობაც, რათა პრეზიდენტიც, სხვა სახელისუფლებო რგოლების მსგავსად, ერთი კაცის ჯიბეში აღმოჩნდეს.

ნინო ბურჯანაძემ ასევე კომენტარი გააკეთა პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გახმოვანებულ საპრეზიდენტო თვისებებზე.

– ვერ დავეთანხმები ირაკლი კობახიძეს, რადგან ქარიზმატულობა და აკადემიურობა ერთმანეთს არ გამორიცხავს. დიახ, საქართველოს პრეზიდენტი უნდა იყოს ქარიზმატულიც, აკადემიურიც, გამბედავიც და, უპირველეს ყოვლისა, ძალიან კომპეტენტური, რომ შეძლოს უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე მუშაობის დაწყება, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

აუცილებელია, პრეზიდენტმა შეძლოს მოლაპარაკებების წარმართვა სხვადასხვა მიმართულებით, რათა ქვეყანა გამოვიდეს იმ ჩიხიდან, რომელშიც დღეს აღმოვჩნდით, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

**მედიანიუსი**

# ვიქტორ დოლიძე: „პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლას მთავრობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაესწრება“



– პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლას მთავრობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაესწრება. თუ რომელი მინისტრები დაესწრებიან საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტში სიტყვით გამოსვლას, დადგინდება მთავრობის დღის წესრიგის მიხედვით.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ვიქტორ დოლიძემ განუცხადა.

როგორც ვიქტორ დოლიძემ აღნიშნა, უკვე ცნობილია, რომ საქართველოს პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლას პარლამენტში დაესწრება საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

– ჩვენ უნდა მოვითათბიროთ პრემიერ-მინისტრთან, თუ ვინ დაესწრება პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლას. ეს საკითხი დადგინდება მთავრობის დღის წესრიგის მიხედვით. თუმცა იმას, რომ ესწრება პრემიერი და რამდენიმე მინისტრი, დღესვე დაგიდასტურებთ. ვფიქრობ, კარგია ამგვარი ვიზიტი და ანგარიშის მოსმენა და შემდგომ დისკუსიასაც დადებითად ვუყურებ. დღის წესრიგიდან გამომდინარე, შესაძლოა, სრული შემადგენლობით მთავრობა ვერ დაესწროს, თუმცა მნიშვნელოვანი ნაწილი დაესწრება, – განაცხადა ვიქტორ დოლიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# მოსკოვს თბილისი–კიევის სამხედრო თანამშრომლობა აშინებს



რუსული საინფორმაციო სააგენტო საქართველოს თავდაცვის მინისტრის უკრაინაში ვიზიტს ეხმაურება.

საქართველოსა და უკრაინის თავდაცვის მინისტრებმა სტეფან პოლტორაკმა და ლევან იზორიამ კიევში 31 მარტს ხელი მოაწერეს შეთანხმებას სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავების თაობაზე. პოლიტოლოგებმა ამ ფაქტის მიმართ კომენტარი უკვე გააკეთეს. რუსულმა საინფორმაციო სააგენტოს „ნაციონალნაია სლუჟბა ნოვოსტის“ კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა რუსეთის გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის ვიცეპრეზიდენტს, პოლიტოლოგ კონსტანტინ სივკოვს.

როგორც რუსი პოლიტოლოგი ამბობს, საქართველოსა და უკრაინის მიერ შეთანხმების გაფორმება კიევისა და თბილისის სისუსტის დემონსტრირებას წარმოადგენს:

– ეს ნაბიჯი მოწმობს იმას, რომ საქართველოსთვის და უკრაინისთვის ნატო მიუღწეველია. სწორედ ამიტომ იქაური ელიტები ცდილობენ, ერთმანეთი ამგვარ შეთანხმებებზე ხელმოწერებით გააძლიერონ. მათ რომ ნატოში გაწევრიანების იმედი ჰქონდეთ, რატომღა დადებდნენ ასეთ შეთანხმებებს? ეს საქართველოსა და უკრაინის სისუსტის მაჩვენებელია.

კონსტანტინ სივკოვის თქმით, აშკარაა, რომ თბილისი-კიევის შეთანხმება სამხედრო თანამშრომლობის შესახებ მოსკოვის წინააღმდეგ არის მიმართული, თუმცა შეიძლება კრიტიკული სიტუაციებისთვისაც იქნეს გამოყენებული:

– საქართველოს მოსახლეობა კარგად აცნობიერებს ერთ მომენტს: მათ ახსოვთ, თუ როგორ კარგად ცხოვრობდნენ ისინი საბჭოთა კავშირის დროს და ხედავენ, თუ როგორ ცუდად ცხოვრობენ ამჟამად. და თუ ამ ქვეყანაში კრიტიკული სიტუაცია შეიქმნება, ადგილობრივ ელიტას ხომ გაქცევა მოუხდება? ჰოდა, ისინი უკრაინაში გასაქცევ გზას იმზადებენ. იგივე შეიძლება ითქვას უკრაინულ ელიტაზეც.

ინტერვიუში კონსტანტინ სივკოვმა ასევე განმარტა, თუ რატომ არ შეუძლიათ ნატოში გაწევრიანება საქართველოსა და უკრაინას:

– მართალია, ორივე ქვეყანა და მათი არმიები დასავლეთის მხარდაჭერით სარგებლობენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ნატოს წევრები გახდებიან. იმიტომ, რომ არსებობს მთელი რიგი პირობები.

დღეს საქართველოსა და უკრაინის ალიანსში გაწევრიანება ვერ მოხდება ერთი უბრალო მიზეზის გამო: თუ ისინი ნატოში შევლენ, მაშინ ნატო რუსეთს თავს უნდა დაესხას. განა თქვენ წარმოგიდგენიათ ასეთი სიტუაცია, როცა გერმანელები, ფრანგები, ჰოლანდიელები და მათში შერეული არაბები ფერად-ფერადი დროშებით რუსეთის წინააღმდეგ იბრძოლებენ? ეს შეუძლებელია. ისინი ამისთვის მორალურად მზად არ არიან, – ამბობს კონსტანტინ სივკოვი.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ასლან აბაშიძე საქართველოში ბრუნდება?

## ნატო იმნაძე: „ასლან აბაშიძემ მამაჩემს პერანგში ხელი ჩასჭიდა და სახისა და მკერდის არეში რამდენჯერმე ესროლა“

გავრცელებული ინფორმაციით, ახლო მომავალში, შესაძლოა, საქართველოში აჭარის უზენაესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ასლან აბაშიძე ჩამოვიდეს. მის წინააღმდეგ არაერთი ხმაურიანი საქმე იყო აღძრული. ყველაზე ძველი და გახმაურებული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ნოდარ იმნაძის მკვლელობის საქმეა. ამის გამო მასზე ინტერპოლითაც კი გამოცხადდა ძებნა.

ამ დანაშაულიდან 25 წლისთავზე სასამართლომ ასლან აბაშიძეს განზრახ მკვლელობის მუხლი შეუცვალა. ნოდარ იმნაძის ქალიშვილი ნატო იმნაძე, რომელიც მამის მკვლელობის თვითმხილველია, ფიქრობს, რომ ყველაფერი აბაშიძის „გასაპრავებლად“ კეთდება.

რატომ შეეცვალა აბაშიძეს მუხლი, რის გაკეთებას აპირებს დაზარალებული მხარე, ვინ მფარველობს ასლან აბაშიძეს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნატო იმნაძე ესაუბრება.


ნოდარ იმნაძე



შორენა მარსაგიშვილი

***– ნატო, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ახლო მომავალში, შესაძლოა, საქართველოში ასლან აბაშიძე დაბრუნდეს. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ ამის შესახებ? არსებობს მოსაზრება, რომ ხელისუფლებაში არის ძალა, რომელსაც მოსკოვიდან მისი ჩამოყვანა სურს.***

– გამორიცხული არაფერი არ არის. გენერალური პროკურატურა წლების განმავლობაში იძიებდა ნოდარ იმნაძის მკვლელობის საქმეს და მკვლელობიდან 16 წლის შემდეგ ასლან აბაშიძეს ბრალი წაუყენეს ნოდარ იმნაძის განზრახ მკვლელობაში, რის შემდეგაც გამოცხადდა ინტერპოლით ძებნა. მკვლელობიდან 25 წლის შემდეგ, 2016 წელს, პროკურატურამ სასამართლოზე მოითხოვა, ასლან აბაშიძეს 105-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დავით მამისეიშვილის მიერ 2016 წლის 11 აგვისტოს გამოტანილი განაჩენით განსასჯელ ასლან აბაშიძის მიმართ საქართველოს სსკ-ის 105-ე მუხლით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 107-ე მუხლზე, რაც ნიშნავს იმას, რომ განზრახ მკვლელობით ჩადენილი დანაშაული გადაკვალიფიცირდა მოგერიების ფარგლებს გადაცილებად და სსკ-ის 107-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

ასლან აბაშიძე წლების განმავლობაში ცდილობდა, განზრახ მკვლელობის მუხლი შეეცვალა, მაგრამ ვერცერთი ხელისუფლების პირობებში ვერ მოახერხა. აი, დადგა დრო და ეს ოცნებაც აისრულა.

თქვენ მიერ დასმულ შეკითხვაზე – უნდათ თუ არა აბაშიძის ჩამოყვანა... ამ სასამართლო განაჩენის გამოტანის შემდეგ მის ჩამოსვლას ვერ გამოვრიცხავთ, რადგან მოსამართლე და საზოგადოების ზოგიერთი ნაწილი კიკუს როლშია. სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა.

***– თქვენ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრეთ. გაქვთ იმედი, რომ აბაშიძეს ისევ ძველ მუხლს დაუბრუნებენ?***

– გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გავასაჩივრეთ. სასამართლო 19 აპრილს არის. მე ბოლომდე ვიბრძოლებ სიმართლის დასადგენად. 26 წელია, რაც ბრძოლაში ვარ. 30 აპრილს გადის მამის მკვლელობიდან 26 წელი.

ძალიან საინტერესოა ის ფაქტიც, რომ არ მომხდარა მკვლელობის მოტივის გამოძიება. არადა, ეს ძალიან ბევრ კითხვას გასცემდა პასუხს.

***– თქვენი აზრით, რატომ არ მოხდა მკვლელობის მოტივის გამოძიება?***

– ეს იმათ უნდა ვკითხოთ. აშკარაა, ვიღაცა ძალიან არის დაინტერესებული იმით, რომ აბაშიძე გამართლდეს. რაც შეეხება მკვლელობის მოტივს, ამ კუთხით ერთი მოწმეც არ ჰყავთ დაკითხული. ამაზე ერთი კითხვაც არ არის მათი მხრიდან დასმული.

ყველაფერი კი ამას მოჰყვა: 1991 წლის 14 მარტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად 31 მარტამდე ასლან აბაშიძე დაინიშნა, პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად კი – საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი და „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ აჭარის რეგიონული ორგანიზაციის სპიკერი ნოდარ იმნაძე.

### „საქართველოს ყველა ხელისუფლება ნოდარ იმნაძის მკვლელთან წარმატებით ვაჭრობდა“

პირველი დადგენილება, რომელზეც ასლან აბაშიძემ ხელი მოაწერა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების 28 აპრილისთვის გადატანა იყო.

აბაშიძეს ამ მოკლე დროში უნდა მოესწრო აჭარაში სრული ძალაუფლების მოპოვება, რისთვისაც საჭირო იყო ნოდარ იმნაძის ჩამოშორება არა მარტო უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან, არამედ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ აჭარის რეგიონული ორგანიზაციის სპიკერობიდანაც.

აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებში „მრგვალი მაგიდის“ საარჩევნო სიას ნოდარ იმნაძე ადგენდა. აბაშიძე რომ გამხდარიყო აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნების პროცესების წარმმართველი და უზენაესი საბჭოს წარმომადგენელთა უმრავლესობა გაეკონტროლებინა, ამისთვის საჭირო იყო, „მრგვალი მაგიდის“ საარჩევნო სია ნოდარ იმნაძეს კი არა, თავად მას შეედგინა.

ამ მოკლე დროში ნოდარ იმნაძის საარჩევნო პროცესებისგან ჩამოშორება მხოლოდ მისი ლიკვიდაციით შეიძლებოდა. აბაშიძეს სჭირდებოდა დასაყრდენი ძალა და ეს ძალა აჭარაში იყო სეპარატისტულად განწყობილი, ანტიეროვნული დაჯგუფება, კერძოდ, ე.წ. აჭარის ხსნის კომიტეტი, აგრეთვე უშიშროების კომიტეტი და კომპარტიის ზოგიერთი თანამდებობის პირი. ეროვნული ძალების პროვოცირებისთვის საჭირო იყო აჭარაში მასობრივი არეულობა და დაპირისპირება, რისი გაკეთებაც არ გასჭირვებიათ. ორგანიზატორები მზად იყვნენ, სისხლიც კი დაეღვარათ. იყო სეპარატისტული ლოზუნგებიც.

***– რა ლოზუნგები იყო?***

– 1991 წლის 22-23 აპრილის პროვოკაციული აქციები დღესაც მწარედ ახსოვთ ბათუმში. აბაშიძის მიერ ორგანიზებული ანტიეროვნული მიტინგები მიმართული იყო ეროვნული ძალების წინააღმდეგ. აქციის ლოზუნგები ასეთი გახლდათ: „ავტონომიის ხელშეუხებლობა“, „რელიგიის ხელშეუხებლობა“, „აჭარა აჭარლებს“, „აჭარას უნდა ჰყავდეს პრეზიდენტი, უნდა ჰქონდეს დროშა, გერბი და ჰიმნი“. მათ გეგმაში შედიოდა პროვოკაცია, რომელიც, შეიძლებოდა, სისხლისღვრით დამთავრებულიყო.

აქციის ერთ-ერთი თავკაცი იყო აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი იოსებ ხიმშიაშვილი. მას აბაშიძე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას დაჰპირდა, ამის სანაცვლოდ დაავალა ზემო აჭარიდან ხალხის ჩამოყვანა. მან მობილიზება გაუკეთა თავის ნათესავებს, მეზობლებს, მეგობრებს და დავალება ფრიადზე შეასრულა.

მომიტინგეებმა ჯერ მინისტრთა საბჭოს შენობა დაარბიეს, შემდეგ კი მოითხოვეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გურამ ჩიგოგიძის გადაყენება და მის ადგილას იოსებ ხიმშიაშვილის დანიშვნა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე



# საგარეო სამინისტრო: „რუსეთი აფხაზეთისა და ცხინვალის ანექსიას აგრძელებს“

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ეხმიანება შეთანხმებას ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის უკანონო სამხედრო დაჯგუფებების რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შესვლის თაობაზე.

საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს საქართველოს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის უკანონო სამხედრო დაჯგუფებების რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით 2017 წლის 31 მარტს შეთანხმების ხელმოწერას.




როგორც უწყების განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნული წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ფაქტობრივი ანექსიის პროცესის გაგრძელებას, რაც სრულად უგულებელყოფს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ ნორმებსა და პრინციპებს.



– რუსეთის ფედერაციის მსგავსი პროვოკაციული ქმედებები და ცალსახა აგრესია საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართულია რეგიონში ვითარების დესტაბილიზაციისა და ევროპული უსაფრთხოების სისტემის სრული მოშლისაკენ. ამ გზით რუსეთის ფედერაცია სერიოზულ ზიანს აყენებს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებს და მიზანმიმართულად უშლის ხელს სამშვიდობო პროცესში რაიმე პროგრესის მიღწევას.

საქართველოს ოკუპირებული რეგიონების რუსეთის ფედერაციის სამხედრო სისტემაში ინტეგრირების ფონზე კიდევ უფრო შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ მოსკოვი კვლავ უარს აცხადებს ძალის არგამოყენების ვალდებულებაზე და ხელს უშლის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნას.

მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს პროვოკაციული ქმედებების პრაქტიკა, დაიცვას 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობები და გაიყვანოს თავისი სამხედრო შენაერთები საქართველოს ტერიტორიიდან.

მივმართავთ საერთაშორისო თანამეგობრობას, სათანადოდ შეაფასოს რუსეთის ფედერაციის აგრესიული ქმედებები და მიიღოს ზომები საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილ მდგომარეობაზე ჯეროვანი რეაგირების მიზნით, – ნათქვამია საქართველოს საგარეო უწყების განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

# ილია II: „ღმერთი განსაცდელს მოგვივლენს იმისთვის, რომ უფრო ღრმად ჩავხედოთ ჩვენს სულს“

დიდმარხვის დასრულებამდე ორი კვირით ადრე საკვირაო ქადაგებისას სრულიად საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ განსაცდელზე იქადაგა. პატრიარქის განცხადებით, ღმერთი განსაცდელს მოგვივლენს იმისთვის, რომ უფრო ღრმად ჩავხედოთ ჩვენს სულს, გონებას.



უწმინდესის თქმით, განსაცდელი იმას ნიშნავს, რომ უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ ჩვენს ყოფაქცევას.

პატრიარქმა ქადაგებისას მარიამ ეგვიპტელის მოღვაწეობაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ მარიამ მეგვიპტელი არის მაგალითი, როგორ შეიძლება შეიცვალოს ადამიანი და ცოდვიდან გადავიდეს წმინდა ცხოვრებაში.

– წმინდა მარიამ მეგვიპტელი ყოველ ჩვენგანშია და ყველას გვეხმარება. უპირველეს ყოვლისა, თავის თავთან ბრძოლაში. ადამიანი თუ არ ებრძოლა თავის სულს, თავის ცხოვრებას, ის ადამიანი ვერ გაიმარჯვებს სხვაზე. ადამიანმა ჯერ თავის თავზე უნდა გაიმარჯვოს, უნდა დაამარცხოს თავისი ვნებები და მერე იქნება გამარჯვებული, – აღნიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

**პირველი რადიო**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ანატოლი ბიბილოვი: „თბილისთან გზა არ დაიკეტება“

შორენა მარსაგიშვილი






კვირის ბოლოს ცხინვალში დიდი ბდღვნა იქნება – 9 აპრილს იქ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება. არჩევნებს ოფიციალური თბილისი და ჩვენი დასავლელი პარტნიორები რომ არალეგიტიმურად ცნობენ, ეს არახალი ამბავია. არსებულ ვითარებას არც ახალი პრეზიდენტისა და, გნებავთ, არც ძველის ახალი ვადით არჩევა შეცვლის.

საინტერესო აქ წინასაარჩევნო დაპირებებია. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იმ გზასთან დაკავშირებით გაცემული დაპირებებია, რომელიც თბილისს ცხინვალთან აკავშირებს და რომლის გახსნასაც ასე გაალმასებით ითხოვს ოფიციალური ერევანი.

სომხეთის ხელისუფლება როკის გვირაბის გახსნას უკვე დიდი ხანია ითხოვს. სომხეთის პრემიერმა მედიასთან საუბარში არაერთხელ განაცხადა, რომ ამ თემაზე ქართველ კოლეგასთან უკვე მოილაპარაკა. ქართული მხარე ამ ინფორმაციას არ ადასტურებს.

რამდენიმე დღის წინ სომხეთის მთავრობის მეთაურმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად უკვე მოძებნა ის გზა, რომელიც ლარსის ალტერნატივა გახდება.

უკვე დიდი ხანია საუბრობენ იმაზე, რომ ალტერნატივა როკის გვირაბი იქნება. რამდენიმე თვის წინ, როცა ეს ინფორმაცია პირველად გავრცელდა, ცხინვალის ხელისუფლებამ ეს დაუშვებლად მიიჩნია.

მათმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ განცხადებაც კი გაავრცელა, სადაც ეწერა, რომ ისინი ამ გზას არ გახსნიდნენ, რადგან ეს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და უსაფრთხოებისთვის პრობლემატური იქნებოდა.

როკის გვირაბის გავლით სომხური დერეფნის გაკეთებაზე ამ დღეებში უკვე მოკრძალებულად საუბრობენ ცხინვალელი ლიდერები. სომხეთის პრემიერის ბოლო განცხადებაზე სამხრეთელთა პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა მხოლოდ ის თქვა, რომ მან არაფერი იცის.

უფრო შორს წავიდა მისი კონკურენტი ანატოლი ბიბილოვი და ამის გამო მას დამატებითი განმარტებების გაკეთება დასჭირდა. კონკურენტებმა ის ამის გამო პროქართულობაშიც კი დაადანაშაულეს.

საბედისწერო განცხადება ბიბილოვმა ახალგორის მოსახლეობასთან შეხვედრისას გააკეთა. ოსური მედიის ცნობით, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ახალგორელებს ხშირად ხვდება და მათ ქართულ ენაზე ელაპარაკება.

ახალგორელებს ის ამ დღეებშიც შეხვდა და დაჰპირდა, პრეზიდენტი თუ გავხდები, თბილისთან დამაკავშირებელი გზა არ დაიკეტებაო.

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე პრეზიდენტობის კანდიდატი ამ განცხადებას დეზინფორმაციას უწოდებს. ის განმარტავს, რომ ასე არ უთქვამს, თუმცა განმარტებაში იმავეს იმეორებს. ძველ და ახალ განცხადებებს შორის განსხვავება ის არის, რომ ბოლოს ის ოფიციალური თბილისისგან ერთი პირობის შესრულებას ითხოვს.

– ყველას უნდა ჰქონდეს თავისუფლად გადაადგილების უფლება. არ დაუჯეროთ ინფორმაციებს, რომელთაც ჩემი სახელით ავრცელებენ. თუკი მე გავხდები პრეზიდენტი, გზა, რომელიც ჩვენ თბილისთან გვაკავშირებს, არ დაიკეტება. ქართველებთან კარგი ურთიერთობა კი მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, რაც ხელი მოეწერება ხელშეკრულებას თავდაუსხმელობის შესახებ, – აცხადებს ბიბილოვი.

მისმა ამ განცხადებამ ყური ერევანსაც მოსჭრა. იქ ფიქრობენ, რომ ბიბილოვს არა ახალგორი-თბილისის დამაკავშირებელი გზა, არამედ როკის გვირაბი ჰქონდა მხედველობაში.

ცხინვალში მცხოვრები სომხური დიასპორა პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს უჭერს მხარს. სომეხთა საყოველთაო ტრფიალი მან გასულ წელს დაიმსახურა.

2016 წლის პირველ ნახევარში თურქეთმა და რუსეთმა ერთმანეთს ლამის ომი გამოუცხადეს. ანატოლი ბიბილოვმა გადაწყვიტა, მოსკოვის გამჯავრებელი ანკარა თავადაც დაესაჯა. სასჯელად კი მან სომხების გენოციდის აღიარება განსაზღვრა. ამასთან დაკავშირებით სათანადო დოკუმენტაციაც მომზადდა, მაგრამ მოულოდნელად პუტინი და ერდოღანი ერთმანეთს დაუტკბნენ.

საგენოციდო დოკუმენტაცია ცხინვალის პარლამენტის თაროზე შემოდეს, მაგრამ სომხური მხარე მაინც კმაყოფილი დარჩა.

# ასლან აბაშიძე საქართველოში ბრუნდება?

დასაწყისი მე-3 გვერდზე


ნატო იმნაძე

გამოძიებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, თუ რა განცხადებები გააკეთა იმ დღეებში ხიმშიაშვილმა. მან აბაშიძე აჭარის პრეზიდენტად მოიხსენია. ეს ყველაფერი ვიდეოფირზეა დაფიქსირებული.

აბაშიძის მიერ ორგანიზებული აქციის მონაწილეებმა ასევე დაარბიეს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაც, მოითხოვეს შინაგან საქმეთა მინისტრ მამუკა კობახიძის გადაყენება და ლევან ხოზრევანიძის დანიშვნა. ეს უკანასკნელიც ანტიეროვნული აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. ზემო აჭარიდან ხალხის ჩამოყვანის სანაცვლოდ მას აბაშიძე შს მინისტრობას დაჰპირდა.

ასლან აბაშიძის გეგმა იყო ნოდარ იმნაძის გაძევება არა მარტო აჭარიდან, არამედ საქართველოდანაც, რაც ხოზრევანიძემ მომიტინგეებთან გაახმოვანა.

***– ასე პირდაპირ თქვა, იმნაძე და მისი გარემოცვა უნდა გავაძევოთო?***

– მისი გამოსვლაც ჩაწერილია. მან შემდეგი სიტყვებით მიმართა მომიტინგეებს:

„მე დიდი მადლობა მინდა გითხრათ ყველას, მიგულეთ ყოველთვის თქვენ გვერდით და, როგორც დღეს ჩემი დანიშვნა მოითხოვეთ და გვერდში ამომიდექით, ისე ამოგიდგებით საზოგადოების წესრიგის დაცვისა და იმ არაკაცების აჭარიდან კი არა, მთლიანად საქართველოდან მოცილებისთვის“.

ხოზრევანიძე არაკაცებში ნოდარ იმნაძესა და მის გარემოცვას გულისხმობდა.

მინისტრთა საბჭოსა და შსს-ს დარბევის შემდეგ მომიტინგეები უკვე უზენაეს საბჭოში შეცვივდნენ, სადაც ნოდარ იმნაძე გვარდიელებთან და კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა.

ნოდარმა მეორე სართულზე შენობის უკანა მხარეს არსებული ფანჯარა ჩაამსხვრია და გვარდიელებთან ერთად დატოვა უზენაესი საბჭოს შენობა, რათა უბრალო ხალხთან არ მომხდარიყო შეხლა-შემოხლა, რადგან ხალხს ამოფარებული უკანონოდ შეიარაღებული დაჯგუფების მხრიდან მოსალოდნელი იყო პროვოკაცია, რომელიც ნოდარ იმნაძის ლინჩის წესით გასამართლებით გამოიხატებოდა და, აქედან გამომდინარე, იყო სისხლისღვრის დიდი საშიშროება.

ნოდარის სახელმწიფოებრივი მიდგომა და სწორი გადაწყვეტილება რომ არა, აჭარაში 1991 წლის 22-23 აპრილს დიდი ტრაგედია დატრიალდებოდა.

***– მოდით, ისევ ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას დავუბრუნდეთ. რაში არ ეთანხმებით სასამართლოს?***

– განაჩენი მსჯავრდებულ ასლან აბაშიძის მიმართ ნოდარ იმნაძის განზრახ მკვლელობის ეპიზოდში არის უკანონო, ფაქტობრივად და სამართლებრივად დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო.

მოსამართლეს არ ვეთანხმებით მურმან ომანიძისა და ასლან აბაშიძის დაჭრასთან დაკავშირებით. ასევე არ ვეთანხმებით და გაუგებარია, რატომ იტყუება მოსამართლე, როდესაც წერს, რომ ფოიესა და დერეფანში განხორციელებულ სროლებს თვითმხილველი არ ჰყავს.

***– რა მოხდა ასლან აბაშიძის კაბინეტში?***

– ასლან აბაშიძის კაბინეტში იმყოფებოდნენ: ნოდარ იმნაძე, ასლან აბაშიძე, ანზორ ჯაიანი, მურმან ომანიძე, არსენ სურმანიძე და მე, ნატო იმნაძე.

მოწმე ანზორ ჯაიანი პროკურატურის კითხვას ასე პასუხობს: „იმ დროს, როცა ნოდარ იმნაძე შემოვიდა ასლან აბაშიძის სამუშაო ოთახში, მე მას შევხვდი პირისპირ დაახლოებით 4-5 მეტრში. მე ნოდარ იმნაძეს შევხვდი ხელგაშლილი, იარაღი ხელში არ მქონია, ნოდარ იმნაძეს ჩემი მოკვლის განზრახვა რომ ჰქონოდა, მას შეეძლო, მოვეკალი ან დავეჭერი ავტომატით, რაც მას არ გაუკეთებია“.

მურმან ომანიძე ჩვენებაში წერს, რომ ორივე ფეხში იყო ავტომატის ტყვიებით დაცხრილული და მძიმედ დაჭრილი გადაიყვანეს საავადმყოფოში. ეს ფაქტი არც მოწმეთა ჩვენებებითა და არც სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით არ დასტურდება.

მოწმე მალხაზ ელიაშვილი, ბათუმის სასწრაფო დახმარების ექიმი, ჩვენებაში წერს: „მინისტრთა საბჭოს ვესტიბიულში, პირველ სართულზე, იყო 10-15 კაცი ... ჩვენ განვაგრძეთ გზა და კიბით ავედით მეორე სართულზე, სადაც დერეფანში, ხელმარცხნივ, კიბიდან დაახლოებით 3-4 მეტრის მოშორებით იყო ადამიანის გვამი, პირქვე ჩამხობილი, რომელშიც შევიცანი იმნაძე. გვამის დათვალიერების მომენტში გავიგონე ფეხის ხმა დერეფანში და, როცა უკან მოვიხედე, გვამისკენ მოდიოდა რამდენიმე ადამიანი. მათ შორის შევიცანი ბატონი აბაშიძე, ბატონი ომანიძე და ჯაიანი“.

ეს ძალიან საინტერესო მომენტია. ომანიძე ხომ ამბობს. რომ ორივე ფეხი დაცხრილული ჰქონდა. თუ ასე იყო, როგორღა ახერხებდა სიარულს? ექიმი დეტალებში აღწერს ყველაფერს, რატომღაც ჩვენებაში არ ამბობს, რომ ომანიძე კოჭლობდა ან ფორთხვით მიდიოდა მისკენ. ექიმი არც იმას წერს, რომ აბაშიძეს სდიოდა თქრიალით სისხლი. აბაშიძეც ამტკიცებდა, რომ დაჭრილი იყო.

საქმეში არ არის ომანიძის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, არც სამედიცინო ცნობა, რაც იმას დაადასტურებს, რომ ის დაჭრილი იყო. ამ ყველაფრის მიუხედავად, პროკურატურა და სასამართლო მაინც ურცხვად მიიჩნევს დადგენილ ფაქტად ომანიძის დაჭრას.

პროკურატურის მიერ გამოძიებული საქმეში არსებული ფაქტობრივი მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ასლან აბაშიძის კაბინეტში მხოლოდ ნოდარ იმნაძე იყო მძიმედ დაჭრილი, რომელმაც უკუსვლით დატოვა კაბინეტი და მძიმედ დაჭრილი გავიდა მდივნის ოთახში. ამას ადასტურებს ყველა მოწმის ჩვენება და ექსპერტიზის დასკვნები.

როდესაც ნოდარი უკუსვლით, მძიმედ დაჭრილი, გავიდა მდივნის ოთახში, მას დაედევნა იარაღმომარჯვებული ასლან აბაშიძე.

როგორც მოსამართლე აღნიშნავს, ნოდარ იმნაძე აღარ წარმოადგენდა განსასჯელისთვის საშიშროებას და მას აღარ უნდა განეხორციელებინა დამატებითი გასროლები. მიუხედავად ამისა, ასლან აბაშიძე იარაღმომარჯვებული მისდევს მძიმედ დაჭრილ ნოდარ იმნაძეს მდივნის ოთახში, თავს ესხმის და ესვრის სახის არეში მაკაროვის სისტემის იარაღიდან. სწორედ აქედან იწყება მისი განზრახვა, რომ სისასტიკით გაუსწორდეს ნოდარ იმნაძეს.

ის, რომ ნოდარ იმნაძეს მდივნის ოთახში ასლან აბაშიძე გაეკიდა, სადავო არ არის და სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტია. როცა მამაჩემი გავიდა ასლან აბაშიძის სამუშაო ოთახიდან და მიეყრდნო მისაღებ ოთახში მდგარ მდივნის მაგიდას, მასთან ახლოს მივიდა ასლან აბაშიძე, მამაჩემს პერანგში ჩასჭიდა ხელი და რამდენიმეჯერ ესროლა სახისა და მკერდის არეში. როგორც აღვიქვი, ასლან აბაშიძემ მამას ესროლა 3-ჯერ. ეს ჩვენება ჯერ კიდევ 1991 წელს მივეცი. მოსამართლე კი აცხადებს, თითქოს მე სადღაც ვამბობ, რომ ამ ფაქტს თვითმხილველი არ ჰყავს.

მძიმედ დაჭრილი ნოდარი ხელის კვრით ახერხებს, თავი დააღწიოს ასლან აბაშიძეს, რის შედეგადაც აბაშიძე წაიბორძიკებს. ნოდარი კარგავს წონასწორობას და, მძიმედ დაჭრილს, ასლან აბაშიძის სამუშაო ოთახის ღია კართან ხელიდან უვარდება ავტომატი. ის ბარბაცით, დიდი ნაბიჯებით გადის დერეფანში. ასლან აბაშიძე ნოდარის ავტომატს იღებს ხელში და ავტომატმომარჯვებული მისდევს მას დერეფანში. დავინახე, როგორ ესროლა ავტომატიდან.

საინტერესო ჩვენება აქვს მოწმე მურმან ომანიძეს. ის ჩვენებაში წერს: „დავინახე, რომ დაჭრილი იმნაძე ოთახიდან ძლივს გადიოდა. მას ხელში არცერთი იარაღი უკვე აღარ ეჭირა“.

ასლან აბაშიძემ გამოძიებას მოტყუებით ჩააბარა ლურჯი ფერის პიჯაკი. სინამდვილეში მას ნაცრისფერი ეცვა. მან შეგნებულად გამოცვალა, რადგან პიჯაკი ნოდარის სისხლით იქნებოდა დასვრილი. აბაშიძეს რომ იმ დღეს სხვა ფერის პიჯაკი ეცვა, ამას, ჩემ გარდა, იქ მყოფი სხვა პირებიც ადასტურებენ.

არის კიდევ უამრავი დეტალი და მოწმეთა ჩვენებები. სამწუხარო ის არის, რომ ამ საქმის გამოძიება არცერთმა ხელისუფლებამ არ მიიყვანა ბოლომდე. არადა, ყველაფერი ხელისგულზეა.

***– თქვენი აზრით, რატომ არ ხდება ამ საქმის ბოლომდე გამოძიება?***

– ასლან აბაშიძეს ძალიან უნდა, რომ ამ საქმეში მართალი იყოს და ამ თემაზე წარმატებულად ვაჭრობს ყველა ხელისუფლებასთან. მისთვის მუხლის შეცვლაც არ არის შემთხვევითი. ალბათ, ნიადაგს უმზადებენ საქართველოში დასაბრუნებლად.

***– თქვენ რას იზამთ?***

– მე 26 წელია, სიმართლის დასადგენად ვიბრძვი და არც ახლა ვაპირებ გაჩერებას.

მამაჩემის მკვლელობის შემდეგ აბაშიძე და მის კრიმინალური გარემოცვა კვლავ აგრძელებდა ჩემი და ჩემი ოჯახის დევნას.

საქმეში თავის დროზე ბევრი გაყალბება მოხდა, ტყვიებთან დაკავშირებით, ექსპერტიზასთან დაკავშირებით, მოწმეების ჩვენებებში არის საპირისპირო ინფორმაცია და ეს მოითხოვდა დაზუსტებას, მოწმეების დაპირისპირებას, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, გამოძიების მასალებში მაინც ნათლად ჩანს ასლან აბაშიძის მიერ სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობა.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ვითხოვთ, 2016 წლის 11 აგვისტოს განაჩენში შევიდეს ცვლილება ასლან აბაშიძის მიერ ნოდარ იმნაძის მკვლელობის ნაწილში და, ნაცვლად 2016 წლის 11 აგვისტოს განაჩენში დაკვალიფიცირებული 107-ე მუხლისა, ასლან აბაშიძის ქმედება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულით და სასჯელის ზომად განისაზღვროს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

# ომბუდსმენი: „მოსმენების კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ შეესაბამება“

**საქართველოს პარლამენტი სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშის მოსასმენად ემზადება. პრობლემები და საკითხები, რომელთა შესახებაც უჩა ნანუაშვილმა უნდა ისაუბროს, ყველა სფეროს მოიცავს.**

**ომბუდსმენის ცნობით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატში 8.827 განცხადება/საჩივარი შევიდა.**

**სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ წინა წლების რეკომენდაციების გათვალისწინებისას პარლამენტი სურვილისამებრ ირჩევდა რეკომენდაციებს და სახეცვლილი ფორმით ამტკიცებდა მათ:**

**– ეს არ არის გამართლებული, ვინაიდან, შესაძლოა, პარლამენტის დადგენილებაში არ მოხვდეს საქართველოს მთავრობისათვის ყველაზე კრიტიკული, ადამიანის უფლებების მაღალი სტანდარტის დამკვიდრებისათვის აუცილებელი რეკომენდაციები, რაც, თავის მხრივ, შეასუსტებს საპარლამენტო კონტროლს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. ამიტომ, სასურველია, საქართველოს პარლამენტმა იმ სახით ასახოს რეკომენდაციები სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენის შემდეგ მიღებულ დადგენილებაში, როგორც თავად ანგარიშშია წარმოდგენილი.**



## გახმაურებული საქმეები

გახმაურებული საქმეებიდან ანგარიშში მოხვდა ციანიდის საქმე, რომელზეც ომბუდსმენი მიიჩნევს, რომ მხარეთა თანასწორობის უფლება დაირღვა, რადგან საქართველოს მთავარმა პროკურატურამ დაცვის მხარეს გაუთქმელობის პირობა ჩამოართვა, მაშინ როცა პროკურატურა თავად ასაჯაროებდა საქმის დეტალებს.

საქართველოს სახალხო დამცველი დაგვიანებულად აფასებს სამართალდამცავთა რეაგირებას 2017 წლის 11-12 მარტს ბათუმში მომხდარ ინციდენტზე, სადაც საპროტესტო აქცია სწრაფად გასცდა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს და გადაიზარდა დაპირისპირებაში, რომელსაც შედეგად ძალადობა, ადამიანების ჯანმრთელობის დაზიანება და ქონების განადგურება მოჰყვა.

ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გარშემო მიმდინარე სასამართლო პროცესს, ისევე, როგორც საზოგადოებრივ მაუწყებელში განვითარებულ მოვლენებს, სახალხო დამცველი მედიის თავისუფლების კონტექსტში განიხილავს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უნდა გამოირიცხოს ხელისუფლების მხრიდან გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევის საფრთხე.

## პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობა

ანგარიშის მიხედვით, 2016 წელს ჩატარებულმა მონიტორინგმა გამოავლინა, რომ კვლავ მწვავედ დგას პოლიციის მიერ დაკავებული პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის პრობლემა.

2015 წელთან შედარებით, საანგარიშო პერიოდში დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებულ პირთა რაოდენობა შემცირებულია, თუმცა გაზრდილია დაზიანებით შესახლებულ პირთა და პოლიციის მიმართ პრეტენზიების რაოდენობა. ბოლო 4 წლის განმავლობაში, 2016 წელს იზოლატორში შესახლებულ პირთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით დაზიანებით შესახლებულ და პოლიციის მიმართ პრეტენზიის მქონე პირთა ხვედრითი წილი ყველაზე მაღალია.

2015 წელთან შედარებით ასევე გაზრდილია დაკავებისას ან დაკავების შემდგომ სხეულის დაზიანების შემთხვევათა რაოდენობა.

შემაშფოთებელი ტენდენციაა, რომ შესწავლილი სისხლის სამართლის საქმეებიდან თითქმის ნახევარ შემთხვევებში დაკავებულ პირს საერთოდ არ ჰყოლია ადვოკატი. პოლიციის მიერ დაკავებისას ძალის გადამეტება, დაკავების შემდეგ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, დაკავებული პირის მიერ პროცედურული უფლებებით არაჯეროვნად სარგებლობა და სხეულის დაზიანებების არასრულყოფილი დოკუმენტირება კვლავ გამოწვევად რჩება პოლიციის სისტემისათვის.

ამდენად, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიციის თანამშრომელთა საქმიანობაზე მკაცრი კონტროლის დაწესება და მათი ანგარიშვალდებულების გაზრდა. აუცილებელია, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ზემდგომი თანამდებობის პირებისგან მიიღონ მკაფიო გზავნილი, რომ ადამიანის უფლებების დარღვევა დაუსჯელი არ დარჩება.

## პირადი ცხოვრების ხელყოფა და მოსმენების კანონი

საჯარო პირთა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებასთან დაკავშირებით სახალხო დამცველი ამბობს, რომ გამოძიების კუთხით საქართველოს მთავარ პროკურატურას ადეკვატური ზომები არ გაუტარებია.

საქართველოს სახალხო დამცველი არასაკმარისად აფასებს საქართველოს პროკურატურის საქმიანობას აღნიშნული დანაშაულების გამოძიების საქმეში და მოუწოდებს მას, იმოქმედოს დროულად და ეფექტურად და პასუხისგებაში მისცეს ყველა ის პირი, ვინც შექმნა, მოიპოვა და გაავრცელა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები.

საქართველოს სახალხო დამცველი აკვირდებოდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების პასუხად, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის მიერ შემუშავებულ საკანონმდებლო ცვლილებებს.

2017 წლის 1 მარტს მიღებული ცვლილებების მიხედვით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების გატარების მიზნით შეიქმნა სსიპ „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო“. მართალია, სააგენტოს ფორმალურად დამოუკიდებლობის გარკვეული ელემენტები აქვს, თუმცა იგი რჩება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში, ეფექტიანი კონტროლის ქვეშ, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებას.

ამასთან, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში კვლავ რჩება ნორმა, რომელიც სახელმწიფო ორგანოებს აძლევს უფლებას, ჰქონდეთ მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირებისა და კომუნიკაციის შინაარსის რეალურ დროში მიღების უწყვეტი შესაძლებლობა.

სახალხო დამცველი არაეფექტიანად მიიჩნევს საკანონმდებლო ცვლილებებით გათვალისწინებულ საპარლამენტო კონტროლის მექანიზმის – ნდობის ჯგუფის უფლებამოსილებას. შემოწმებას ატარებს ნდობის ჯგუფის მიერ შერჩეული ერთი წევრი, წელიწადში მხოლოდ ორჯერ, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს კონტროლის მექანიზმში საპარლამენტო ოპოზიციის მონაწილეობას.

– შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებები არ შეესაბამება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და არ შეიძლება შეფასდეს ადამიანების პირად ცხოვრებაში დაუსაბუთებელი ჩარევის მნიშვნელოვანი საფრთხის გამომრიცხავ გარანტიად, – ამბობს სახალხო დამცველი.

## უმცირესობის უფლებები

სახალხო დამცველი აცხადებს, რომ რელიგიის თავისუფლების, ტოლერანტობის და თანასწორუფლებიანობის კუთხით არსებული სისტემური პრობლემები უცვლელია.

რელიგიურ უმცირესობებს საკულტო თუ სხვა ტიპის ნაგებობების მშენებლობისას კვლავ ექმნებათ ბარიერები მშენებლობის ნებართვის გაცემაზე პასუხისმგებელი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან.

ეროვნული უმცირესობები კვლავ ნაკლებად იყვნენ ჩართული ქვეყნისთვის მნიშვნელოვან მოვლენებსა და მათთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

– განსაკუთრებით მძიმეა ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა. არსებული ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობების საპასუხოდ, სახელმწიფოს მიერ ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადადგმული ნაბიჯები კვლავ მინიმალურია და ფორმალურ ხასიათს ატარებს.

სამწუხაროდ, ლგბტ ადამიანები ვერ ქმნიან საკუთარ უფლებრივ და სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებულ დღის წესრიგს.

– მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა, მაქსიმალურად უნდა შეუწყონ ხელი სიძულვილით განპირობებული ძალადობრივი ქმედებების პრევენციასა და ჰომოფობიური გამოვლინებების აღკვეთას, ასევე ლგბტ ადამიანების კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების უპირობო განხორციელებას, – ნათქვამია ანგარიშში.

**ნეტგაზეთი**

# აფხაზეთში რუსეთის სამხედროებისთვის ქალაქი შენდება

## გალელებისთვის ბინადრობის მოწმობების დარიგება იწყება

**ანექსირებულ აფხაზეთში დისლოცირებულ რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებს პატარა ქალაქს უშენებენ. რუსეთის სამხედრო ბაზის ძირითადი ნაწილი გუდაუთასთან მდებარეობს. ბაზის სასწავლო პოლიგონები ოჩამჩირესა და მაიკოპშია განთავსებული.**

**ბაზის მიმდებარედ სამხედროებისთვის კეთილმოწყობილი სახლები შენდება. ტასის ცნობით, ენერგოდამზოგავი ბინები ეკოლოგიურად სუფთა მასალებისგან იგება. „სამხედრო მიკრორაიონი“ 300 ბინისგან შემდგარ 19 ორსართულიან სახლს მოიცავს. ქალაქი ზღვის სანაპიროდან 1 კილომეტრში მდებარეობს.**

მარიამ მჭედლიშვილი



სახლების კარკასები უკვე აგებულია. რუსეთის სამხრეთ სამხედრო ოლქში იმედოვნებენ, რომ წლის ბოლომდე სამხედროები ახალ საცხოვრებლებში გადავლენ. დღემდე ისინი ყაზარმებსა და კარვებში ცხოვრობენ. ახალი ბინები უზრუნველყოფილი იქნება ავეჯითა და საყოფაცხოვრებო ტექნიკით.

ბაზის ტერიტორიაზე საბავშვო ბაღისა და სკოლის გახსნაც იგეგმება. ამ დაწესებულებებში რუსეთის სამხედრო მოსამსახურეების შვილები ისწავლიან.

რუსეთს ოკუპირებულ აფხაზეთთან სამხედრო სფეროში მჭიდრო კავშირები აქვს. ესაა ერთობლივად შექმნილი რუსეთისა და აფხაზეთის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული დაჯგუფება.

შესაბამისი შეთანხმების რატიფიკაცია რუსეთის სახელმწიფო დუმამ 2016 წლის შემოდგომაზე მოახდინა. ამას მოჰყვა ვაშინგტონის პროტესტი. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ ამ შეთანხმებას საერთაშორისო ძალა არ გააჩნია, აშშ კი ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

ექსპერტები უსაფრთხოების სფეროში აცხადებენ, რომ შავი ზღვა ხდება ნატოსა და რუსეთის დაპირისპირების ეპიცენტრი. რამდენიმე თვის წინ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ რუსეთი გეგმავს აფხაზეთის გალის რაიონის სამხედრო ქალაქად გადაქცევას. ამ მხრივ ჯერჯერობით სამუშაოები არ შეინიშნება, თუმცა გალელ ქართველებს მიმოსვლა შეეზღუდათ. აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმმა შეასრულა თავისი მუქარა რამდენიმე საკონტროლო-გამშვები პუნქტის ჩაკეტვის თაობაზე.

საოკუპაციო რეჟიმის ხელმძღვანელი რაულ ხაჯიმბა ასრულებს ასევე დაპირებას გალის მცხოვრებლებისათვის ბინადრობის მოწმობების დარიგების შესახებ. ამ დოკუმენტების გაცემა ამ კვირიდან იწყება. ბინადრობის მოწმობას აძლევენ აფხაზეთის მოქალაქეობის არმქონე პირებს მუდმივი ცხოვრებისა და გადაადგილებისთვის.

ეს გადაწყვეტილება უფლებადამცველებმა უკვე შეაფასეს, როგორც დისკრიმინაციული და აპარტეიდული.

აფხაზეთის მთავრობამ დაავალა დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს, გამართოს მოლაპარაკებები რუსეთის საგარეო უწყებასთან იმ მიზნით, რომ ბინადრობის მოწმობის მქონე აფხაზეთში მცხოვრები ადამიანები ამ საბუთებით შეუშვან რუსეთში.

აფხაზეთის მთავრობაში თვლიან, რომ ესაა გალის რაიონის მცხოვრებლების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა. შინაგან საქმეთა მინისტრ ასლან კობახიას განმარტებით, ამ საბუთების დარიგება იქნება დიდი დახმარება ამ ადამიანებისთვის, რომლებსაც პარტიზანები ცოცხალ ფარად იყენებდნენ, პოლიტიკოსები კი ცდილობდნენ, მათგან შეექმნათ საქართველოს ან აფხაზეთის მოქალაქეები.

ამ დღეებში მოსკოვმა კიდევ ერთხელ გამოუცხადა ნდობა რაულ ხაჯიმბას. ექსპერტი ალექსეი ჩესნაკოვი აცხადებს, რომ მოსკოვში მხარს უჭერენ პრეზიდენტ ხაჯიმბას სტაბილიზაციისკენ მიმართულ ხაზს.

აფხაზეთში არსებობს მოსაზრება, რომ ხაჯიმბა ახალარჩეულ პარლამენტს ვერ გააკონტროლებს. რუსეთში სხვაგვარად ფიქრობენ.

– არჩევნებმა დაადასტურა, რომ გაიმარჯვა ხაჯიმბას მიერ შეთავაზებულმა კონსტრუქციული დიალოგისა და ძალადობრივ სცენარებზე უარის თქმის სტრატეგიამ. პარლამენტში უმრავლესობა პრეზიდენტის მხარდამჭერია, – აღნიშნავს ჩესნაკოვი.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# თელეთში გოლფის ქალაქი შენდება

ქვემო ქართლში არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდას“ ორგანიზებით გაიმართა საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ქვემო ქართლის ბიზნესის წარმომადგენლებთან. შეხვედრის მონაწილეებმა სომხეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის გაუმჯობესების პერსპექტივებზე იმსჯელეს და სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერის სამთავრობო პროგრამებს გაეცნნენ.

აღნიშნულ თემაზე „საქმიან დილასთან“ ქვემო ქართლის გუბერნატორი პაატა ხიზანაშვილი საუბრობს.

***– შეხვედრაზე ერთ-ერთ განსახილველ საკითხად სოფლის მეურნეობა იყო დასახელებული. რა ხდება რეგიონში სოფლის მეურნეობის მიმართულებით, რა სიახლეები და პრობლემებია?***

– უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ძალიან აქტიური იყო ქვემო ქართლი, საერთოდ ეს რეგიონი და ამის რეალური მიზეზებიც არსებობს. ადამიანები, რომლებიც გეგმავენ და ახორციელებენ ამ პროექტებს იმედით აღჭურვილები უნდა იყვნენ და სახელმწიფოსა და ადგილობრივ ხელისუფლებას უნდა ენდობოდნენ. რაც მთავარია, საზოგადოებაში ე.წ. შენების სინდრომი უნდა არსებობდეს.

თუ ბოლო 2 წლის მონაცემებს დავაკვირდებით, დაახლოებით 2.000 პროექტამდე განხორციელდა ქვემო ქართლში. ეს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროექტებია, რომ დავაზუსტო, 1.836 პროექტია. ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტით 2015-2016 წლებში და წელსაც 50 მილიონამდე ინვესტიციაა დაგეგმილი.

აქ გარდამავალი პროექტებიც არის. მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაახლოებით 11 დიდი პროექტი განხორციელდა. ძირითადად ეს პროექტები არის გზები, წყალმომარაგება. კანალიზაცია, საბავშვო ბაღები, ინფრასტრუქტურის განვითარება. ყველაფერი უმაღლესი ხარისხით კეთდება და ესენი სიცოცხლისუნარიანი პროექტებია. დასაწყისიდანვე ჩართულები ვართ და თითქმის ყველა პროექტი ნანახი გვაქვს.

ამას გარდა. კერძო ინვესტიციებიც არის, რაც ამაზე ცოტა მეტია.

***– კერძო ინვესტიციების ძირითად ინტერესს რა წარმოადგენს?***

– ადგილობრივი ინვესტიციები ამ ხნის განმავლობაში დაახლოებით 130 მილიონი ლარი იყო. ეს წვრილი პროექტებია. ამ პროექტებში ჩვენი თბოსადგურები არ მიგულისხმია, რომლებიც ძალიან დიდია და თითოეული პროექტი ნახევარ მილიარდს აღწევს.



მნიშვნელოვანია, „პრიმერა გოლფის“ პროექტი, რომლის მიხედვითაც, გოლფის ქალაქი უნდა აშენდეს და მიმდინარე წელს პირველი ეტაპი უკვე დამთავრდება. შემოდგომაზე მოედნების მშენებლობა და მთლიანად კეთილმოწყობა დასრულებული იქნება. ჩვენ ვცდილობთ ყველა ინვესტორს პირობა შევუქმნათ, დავეხმაროთ და ერთმანეთს დავაკავშიროთ.

ჩვენ „პრიმერა გოლფს“ ცენტრალური ტრასიდან მისასვლელი, დაახლოებით 700 მეტრის გზა დავუგეთ. ინვესტორის ინტერესები მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული. როდესაც ადამიანი ასეთ დიდი ინვესტიციას ახორციელებს, აუცილებლად ითხოვს თანამონაწილეობას. სახელმწიფო კი ამისთვის ყოველთვის ღიაა.

„პრიმერა გოლფი“ უცხოელები არიან და დიდი ინვესტიციაა, რომელიც დაახლოებით 70 მილიონამდე ავა, რადგან გოლფ ქალაქი უნდა ააშენონ. ინვესტორების წარმომავლობა ძირითადად ესპანეთია და ესტონელებიც არიან.

„პრიმერა გოლფი“ თბილისისა და გარდაბნის დამაკავშირებელ ქალაქად გადაიქცევა, რომელიც 330 ჰექტარზეა გადაჭიმული.

აქამდე ბინების ფასი ძალიან იაფი იყო და რა თქმა უნდა, 10-ჯერ გაიზარდა. რუსთავში „მაკდონალდსი“ ძალიან წარმატებული პროექტი გამოდგა. ასევე მნიშვნელოვანია „ჰენკელის“ პროექტი. ასევე აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ 2 წელიწადში 9 ყველისა და რძის გადამამუშავებელი საწარმო აშენდა. ეს თანამედროვე საწარმოებია.

# ფრთხილად, ნარჩენების დაყრისთვის დღეიდან ინსპექტორი დაგაჯარიმებთ!



თბილისში დღეიდან, 3 აპრილიდან, „თბილსერვისჯგუფის“ ზედამხედველობის სამსახურის ქვეითი ინსპექტორები გამოჩნდებიან.

ინსპექტორები მათზე დაკისრებული უფლებამოსილების ფარგლებში ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საყოფაცხოვრებო თუ სხვა სახის ნარჩენის დაყრისთვის დააჯარიმებენ.

როგორც თბილისის მერიიდან იუწყებიან, აღნიშნულთან დაკავშირებით, გუშინ „თბილსერვისჯგუფის“ სათავო ოფისში შეხვედრა გაიმართა, სადაც ქვეითმა ინსპექტორებმა მომავალი საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია კომპანიის ხელმძღვანელებისგან მიიღეს.

– მომავალი კვირიდან კი დაიწყება ქვეითი ინსპექტორების გადამზადება, რომლის ფარგლებშიც ისინი „თბილსერვისჯგუფის“ შესაბამისი სამსახურების მიერ ორგანიზებულ ტრენინგკურსებს დაესწრებიან.

პირველი ორი კვირის განმავლობაში ინსპექტორების გამოჩენას მხოლოდ ინფორმაციული სახე ექნება, ისინი მოქალაქეებს მომავალ სანქციებთან დაკავშირებით გააფრთხილებენ და მათ მიერ დაყრილი ნარჩენის ურნაში ჩაყრისკენ მოუწოდებენ, – ნათქვამია მერიის განცხადებაში.

# ქუთაისის აეროპორტამდე მისასვლელი რკინიგზის მშენებლობა იწყება

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტამდე მისასვლელი რკინიგზის მშენებლობა იწყება.

პროექტს, რომელიც საქართველოს მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმის ერთ-ერთი უმსხვილესი მიმართულების – სივრცითი მოწყობის – შემადგენელი ნაწილია, ქუთაისში დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ჩაუყრის საფუძველს.

როგორც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში განმარტავენ, ცერემონია ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში 20:30 საათზე გაიმართება.

ქუთაისში საქართველოს პრემიერ-მინისტრი 18:00 საათზე ასევე გახსნის იმერეთის რეგიონში პირველ ბრენდირებულ სასტუმროს, „ბესტ ვესტერნ ქუთაისი“, რომელიც „კაპიტოლ ქუთაისი ჰოტელისა“ და „საპარტნიორო ფონდის“ პარტნიორობით აშენდა.

სამვარსკვლავიანი სასტუმრო ქალაქის ისტორიულ ცენტრში მდებარეობს; აქვს 40 სტანდარტული და 5 ლუქსის ტიპის ნომერი და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

პროექტის ღირებულება 3 მილიონი აშშ დოლარია, რომელშიც „საპარტნიორო ფონდის“ მონაწილეობა 1,4 მლნ აშშ დოლარია.



# გარემოვაჭრეებს თბილისში 6 თვე პროდუქტის რეალიზაცია უფასოდ შეეძლებათ

გარევაჭრობის აკრძალვისათვის საჭირო ღონისძიებები გრძელდება.

თბილისის მერიის ცნობით, ნაძალადევისა და ჩუღურეთის გამგეობების თანამშრომლებმა გადასასვლელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე გარემოვაჭრეები გააფრთხილეს, რომ მათ უნებართვო სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება აღარ მიეცემათ. გარემოვაჭრეები გააფრთხილეს ასევე ხუდადოვისა და დადიანის ქუჩის დასაწყისში.

გამგეობების მონიტორინგის განყოფილების თანამშრომლებმა მათ სრული ინფორმაცია მიაწოდეს გარევაჭრობის წინააღმდეგ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ასევე, მოვაჭრეები ინფორმირებულები არიან თბილისში არსებული ბაზრობების ტერიტორიაზე სპეციალურად მათთვის დაწესებული შეღავათების შესახებ.



– გარემოვაჭრეებს საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია 6 თვის განმავლობაში უფასოდ შეეძლებათ რკინიგზის სადგურსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, დინამოს სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, მეტროსადგურ დიდუბის მიმდებარე ტერიტორიაზე, ძველი დეზერტირების ბაზრის ადგილას აშენებული ახალი ბაზრის ტერიტორიასა და ისნისა და სამგორის ბაზრობებზე, – ნათქვამია განცხადებაში.

როგორც მერიაში აცხადებენ, გარევაჭრობის აკრძალვის მოთხოვნით თბილისის მერიასა და რაიონულ გამგეობებს, ასევე მაჟორიტარ დეპუტატებს მოქალაქეებმა არაერთხელ მიმართეს. გარდა იმისა, რომ გარევაჭრობა უკანონოდ ხორციელდება, ასევე, ირღვევა მალფუჭებადი პროდუქციის შენახვის პირობები, ხდება გაურკვეველი წარმოების პროდუქციის გაყიდვა, ჩნდება ანტისანიტარია, მახინჯდება თბილისის იერსახე და ფერხდება გადაადგილება.

– დედაქალაქის მერია ანალოგიური სახის ღონისძიებებს მომავალშიც განახორციელებს და მოვაჭრეებს უნებართვო სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება აღარ მიეცემათ, – ნათქვამია განცხადებაში.

# საქართველო რუსეთში აკრძალული თურქული პომიდვრის რეექსპორტს ახდენს?

რუსულ გამოცემა იზვესტია,რუ-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში განხილულია თურქული წარმოების პომიდვრების რუსეთის ბაზარზე შეტანის საკითხი. რატომ და საიდან შედის რუსეთში ეს პროდუქცია, როცა მისი იმპორტი 2016 წლიდან აკრძალულია? რატომ გაიზარდა ოთხჯერ თურქული პომიდვრის შესყიდვა საქართველოს მიერ? უკავშირდება თუ არა ეს ფაქტი საქართველოდან პომიდვრის იმპორტის შვიდჯერ მატებას?

– ეს კითხვები „როსსელხოზნადზორის“ მხრიდან ჯერჯერობით უპასუხოდ რჩება, – ნათქვამია სტატიაში.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სტატიის ქართულენოვან ვერსიას.

◆ ◆ ◆

რუსეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზედამხედველები გაოცებისაგან ხელებს შლიან – მათ არ შეუძლიათ იმის დადასტურება, რომ რუსეთში საქართველოდან შეტანილი პომიდვრები ქართული კი არა, არამედ თურქულია. იგივე შეიძლება ითქვას ბელარუსიდან შეტანილ პროდუქციაზეც.

თურქეთის მთავრობის სტატისტიკის ინსტიტუტის მონაცემებით, საქართველომ გასულ 2016 წელს 23 მილიონი დოლარის თურქული პომიდორი იყიდა, მაშინ როცა 2015 წელს ის მხოლოდ 6 მილიონისა იყო. ზოგადად კი საქართველოს, ბოლო ათი წლის მანძილზე, არასოდეს უყიდია თურქეთისგან წელიწადში 8 მილიონ დოლარზე მეტი პომიდორი. ეს ყველაფერი იმით აიხსნება, რომ საქართველო თურქული პომიდვრის რეექსპორტს ეწევა ჩრდილოეთის მიმართულებით, ანუ რუსეთში, თანაც კონტრაბანდის სახით.

რუსეთის ფედერალური საბაჟო სამსახურის მონაცემებით, გასულ წელს საქართველომ რუსეთში 2 მილიონი დოლარის პომიდორი შეიტანა, წინა წლებში კი მისი მოცულობა 350 ათას დოლარს არ აღემატებოდა.



ექსპერტების თქმით, ოფიციალური ციფრები არაფერს ნიშნავს, რამდენადაც შეტანა კონტრაბანდული გზით ხდება.

– არსებობს ეჭვი, რომ საქართველო რუსეთში თურქული პომიდვრების კონტრაბანდას ეწევა, – ამბობს რუსეთის ბოსტნეულის მწარმოებლებისეროვნული კავშირის პრეზიდენტი სერგეი კოროლიოვი, – იმპორტის ზრდის დინამიკა შესამჩნევია, მაგრამ ამის დამტკიცება პრაქტიკულად შეუძლებელია.

საქართველო, რუსეთის გარდა, პომიდორს არავის აწვდის. ეს დასტურდება ამ ქვეყნის სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემებითაც, მაგრამ თურქულია თუ ქართული პომიდორი, გაურკვეველია.

– ოფიციალურად, რეექსპორტის ფაქტები ჩვენ არ დაგვიფიქსირებია, – ამბობს „როსსელხოზნადზორის“ პრესმდივანი იულია მელანო, – ამის დადასტურება საკმაოდ ძნელია. საერთოდ, თუ დოკუმენტები წესრიგშია, მაგრამ შესამჩნევია, რომ ტვირთი მეორედაა შეფუთული, მაშინ შემოწმება მტვრის მიხედვით წარმოებს. თუმცა, საქართველოსთან მიმართებით ამგვარი კონტროლი შეუძლებელია – თურქულ პომიდვრებს ქართულისაგან (აზერბაიჯანულისგანაც) მტვრის მიხედვით ვერ გაარჩევ.

საერთოდ, რუსეთი თანდათან ზღუდავს პომიდვრის იმპორტს. თუ 2014 წელს ერთი მილიარდი დოლარის იქნა შემოტანილი, 2016 წელს – მხოლოდ 490 მილიონისა. ძირითადად მაროკოდან, ჩინეთიდან და აზერბაიჯანიდან. თურქული პომიდვრების იმპორტი კი 2016 წლის პირველი იანვრიდანაა აკრძალული.

შესაბამისად, თურქი მწარმოებლები ძალიან ზარალდებიან. ისინი ვერაფრით შერიგებიან რუსული ბაზრიდან წასვლას. ანკარა ცდილობს რუსეთზე გავლენა მოახდინოს და ამიტომაც, რუსი მწარმოებლების დაზარალების მიზნით, გააუქმა რუსული ხორბლის, სიმინდის, მზესუმზირას ზეთის უბაჟოდ შეტანა თურქეთში.

ამის მიუხედავად, მოსკოვი ანკარის მოთხოვნას არ ეთანხმება: თურქული პომიდვრის შეტანა რომ განახლდეს, ამით ის რუსი მეტომატეები დაზარალდებიან, რომლებმაც თურქული პროდუქცია ჩაანაცვლეს, ისინი კონკურენციას ვერ გაუწევენ იაფ თურქულ პომიდორს.

**ნიუსპრესი**

# ვახტანგ რჩეულიშვილი: „გუკა რჩეულიშვილი 11 აპრილს გამოდის“

ნონა ცაბაძე

ცენტრ პოინტის დამფუძნებლები მაია რჩეულიშვილი და რუსუდან კერვალიშვილი დაპატიმრებული არიან. სასამართლომ მათ სააკაძის მოედანზე მდებარე ეპიზოდზე 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ასევე პატიმრობაში რჩება რჩეულიშვილების ვაჟი, გუკა რჩეულიშვილი, ხოლო **ვახტანგ რჩეულიშვილი** უმძიმესი დიაგნოზით საავადმყოფოშია.

„ახალმა თაობამ“ მასთან საუბარი მოახერხა.

***– ბატონო ვახტანგ, პირველ რიგში, როგორია თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა, რას ამბობენ ექიმები? რამდენად დამაიმედებელია პროგნოზი?***

– ექიმები რას მეტყვიან, სიმსივნეა და, როგორ განვითარდება პროცესი, ვინ რა იცის.

***– თავიდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო, რომ კომაში იყავით. რამდენ ხანს იყავით ასე?***

– ახლაც ძალიან ცუდად ვარ, ისევ საავადმყოფოში ვარ და თითქმის სულ მძინავს.

***– ალბათ, თქვენთვისაც ცნობილია სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ. ოჯახის ახლობლები აცხადებენ, რომ ეს პოლიტიკური პროცესია და სამართალთან კავშირი არ აქვს. ასეა?***

– ამ საქმეს სამართალთან არანაირი კავშირი არა აქვს. დღეს ძალიან ძნელია ჩემთვის ამაზე საუბარი. მეც, მაიაც, რუსუდანიც – ყველანი პოლიტიკოსები ვართ. ეს ყველაფერი პოლიტიკურ ჭრილში უნდა განვიხილოთ. მე მიმაჩნია, რომ ამ საქმეს სულ სხვა საფუძველი აქვს.

***– სხვაში რას გულისხმობთ?***

– თავის დროზე სახელმწიფომ არ აიღო არავითარი ვალდებულება, რომ ცენტრ პოინტს დახმარებოდა, ყველაფერი მარტო კომპანიას აჰკიდა და თან ის ვალები, რაც სახელმწიფოს ჰქონდა, არ დაგვიბრუნა. ამან გამოიწვია ის პრობლემები, რომელთა წინაშეც ჩვენ დავდექით, გარდა ამისა, ხალხიც არ იხდიდა თანხებს და ამ ყველაფერს დაერთო ჩვენი ცუდი მომსახურებაც. მოკლედ, ყველაფერი ერთად მოხდა.





***– ანუ თქვენში იყო პრობლემა?***

– ვერ გეტყვით, რომ ყველაზე კარგი მომსახურება გვქონდა მთელ საქართველოში, მაგრამ ეფექტურობით ვერცერთი კომპანია ვერ შეგვედრებოდა. არასოდეს ყოფილა ჩვენს ქვეყანაში ისეთი ეფექტური საწარმო, როგორიც ცენტრ პოინტი იყო. მილიონი კვადრატული მეტრი არცერთ ქალს არ აუშენებია ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

***– ამ ყველაფერში რა არის პოლიტიკური? დაზარალებულები მოითხოვენ დაკმაყოფილებას, ბრალდების მხრიდან საუბარია თაღლითობასა და თანხების გაფლანგვაზე. აბა, არ უნდა მოეთხოვათ?***

– მე გითხარით, რომ ჩვენი შეცდომებიც იყო. პოლიტიკური, იცით, რა არის?! მიშას უნდოდა დედისტირება ოპოზიციისთვის, შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა იმ ოპოზიციამ მოინდომა დედისტირება მიშასთვის და აი, ამ ყველაფერში მოყვა მაია და ახლა უკვე რუსუდანიც.

**უმძიმეს დღეში ვარ, ამაზე მეტი საუბარი არ შემიძლია. დღეს ჩემთვის ყველაზე სასიხარულო, რაც ხდება, არის ის, რომ, მთავარია, ჩემი გუკა გამოდის. მაია მაქსიმალურად აწამეს, რუსუდანი დააკავეს. რაღას იზამენ ახლა, თავებს ხომ ვერ მოგვაჭრიან?! კიბო მაქვს მე, კიბო აქვს მაიასაც. რუსუდანია ერთადერთი ჯანმრთელი და ღმერთმა ჯანმრთელად ამყოფოს**

***– პროკურატურამ გაავრცელა განცხადება, რომ მაია რჩეულიშვილსა და რუსუდან კერვალიშვილს საპროცესო შეთანხმებას სთავაზობენ. ამაზე რას იტყვით?***

– არ შესთავაზებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იცით, რა მოხდება?!

***– რა?***

– რა და ყველა დაზარალებული გარეთ დარჩება და მიადგება პროკურატურას. 25 დაზარალებულია კმაყოფილი მაიას დაკავებით, დანარჩენი 2.500 ფიქრობს, რომ ამით პროკურატურამ უფრო ცუდი საქმე გაუკეთა. დღეს დაზარალებულების დიდი ნაწილი პროკურატურის მიმართ არის აგრესიულად განწყობილი. მიხვდნენ, რომ მაიას დაკავებით მათ პრობლემას არაფერი ეშველება.

***– ანუ პროკურატურა ზეწოლის ქვეშ არის დაზარალებულების მხრიდან?***

– მე გითხარით, რომ უმძიმეს დღეში ვარ, ამაზე მეტი საუბარი არ შემიძლია. დღეს ჩემთვის ყველაზე სასიხარულო, რაც ხდება, არის ის, რომ, მთავარია, ჩემი გუკა გამოდის. მაია მაქსიმალურად აწამეს, რუსუდანი დააკავეს. რაღას იზამენ ახლა, თავებს ხომ ვერ მოგვაჭრიან?! კიბო მაქვს მე, კიბო აქვს მაიასაც. რუსუდანია ერთადერთი ჯანმრთელი და ღმერთმა ჯანმრთელად ამყოფოს. დღეს ყველაზე მთავარი ის არის, რომ გუკა გამოდის.

***– როდის უშვებენ თქვენს ვაჟს? ამაზე არაფერი თქმულა პროკურატურის მხრიდან.***

– 11 აპრილს გამოვა. გამოდის იმიტომ, რომ საკონსტიტუციო ვადა უთავდება, თორემ მათი კეთილი ნებით კი არ უშვებენ!

***– გაქვთ იმის მოლოდინი, რომ მაია და რუსუდანიც გამოუშვან?***

– აღარ შემიძლია ამდენი საუბარი. გითხარით, რომ კიბო მაქვს და ვწევარ საავადმყოფოში. კაცი ფეხზე ვერ ვდგები. ამდენიც რომ გითხარით, არ გიკვირთ?!

# მარინე ცუცქირიძე: „პროკურატურას საპროცესო გარიგებასა და ქონებაზე ყადაღის ახსნას ვთავაზობთ“

ნონა ცაბაძე

სასამართლომ განაცხადა, რომ რჩეულიშვილების ქონებას ყადაღა მოეხსნა. ამ საკითხის შესახებ „ახალი თაობა“ რჩეულიშვილების ადვოკატ **მარინე ცუცქირიძეს** ესაუბრა.

***– ქალბატონო მარინე, რა შეიცვალა განაჩენის გამოცხადების შემდეგ? ითქვა, რომ ცენტრ პოინტის ქონებაზე ყადაღა მოხსნილია. ასეა?***

– ყადაღა არაფერზე არ არის მოხსნილი. ეს არის სასამართლოს განცხადება, რომელიც არ არის დაკონკრეტებული. ზოგადი განცხადებაა. მე ვფიქრობ, ალბათ, ეს არის ტექნიკური შეცდომა, რადგან არ მინდა ვიფიქრო, რომ სასამართლოს შეგნებულად შეჰყავს ხალხი შეცდომაში.

***– მაშ, რაზეა საუბარი?***

– რეალურად ყადაღა მოეხსნა ერთადერთ მიწის ნაკვეთს, რომელიც იყო გირაოში ჩადებული. როდესაც საქმე აღიძრა 2013 წელს, მაია რჩეულიშვილსა და რუსუდან კერვალიშვილს გირაო შეეფარდათ აღკვეთის ღონისძიების სახით და სწორედ გირაოში იყო ჩადებული ეს მიწა 250 ათას ლარად თითოზე. კანონშია გაწერილი, როდესაც საქმეზე გამოდის გამამტყუნებელი განაჩენი, გირაოთი უზრუნველყოფილი უძრავი ქონება იყიდება და თანხა შედის ბიუჯეტში. ასე რომ, მხოლოდ და მხოლოდ ამ მიწის ნაკვეთს მოეხსნა ყადაღა. ეს გაიყიდება აუქციონზე და თანხა შევა სახელმწიფო ბიუჯეტში.

***– და არ წავა დაზარალებულების დასაკმაყოფილებლად?***

– არავითარ შემთხვევაში. არცერთი თეთრი არ წავა დაზარალებულებთან. დაზარალებულებთან ეს მიწის ნაკვეთი კავშირში არ არის. ეს იყო გირაოთი უზრუნველყოფილი ქონება და წაიღო ბიუჯეტმა. ეს ბევრად აღემატება 250 ათასს. ეს არის მილიონი ლარის ღირებულების ქონება, რომელიც წაიღეს ბიუჯეტში.

***– დანარჩენი ისევ დაყადაღებულია?***

– სხვას კი აბსოლუტურად არაფერს მოხსნია ყადაღა. ყველაფერი ისევ ისეა დაყადაღებული პროკურატურის მიერ და სწორედ ამას ვიხვეწებით, ეტაპობრივად ახსენით ყადაღა, გავასხვისოთ, არიან ინვესტორები და გაფორმდეს საპროცესო შეთანხმება.



***– პროკურატურა მაია რჩეულიშვილსა და რუსუდან კერვალიშვილს საპროცესო შეთანხმებას სთავაზობს. ასეა?***

– ეს არ შეესაბამება სიმართლეს. ჩვენ თვითონ მრავალი თვეა და ჯერ კიდევ სანამ დააპატიმრებდნენ მაია რჩეულიშვილს, პირადად მაია და ჩვენც აქეთ ვთავაზობდით პროკურატურას საპროცესო შეთანხმებას. ჩვენ გვყავდა კარგი ინვესტორები და დღესაც გვყავს, რომლებიც მიწის ნაკვეთებს იძენენ საკმაოდ კარგ ფასად.

ჩვენ ვითხოვდით, რომ აეხსნათ ყადაღა, რათა შეგვძლებოდა მიწის ნაკვეთების გასხვისება, ხოლო შემოსული ფული მიებმებოდა კონკრეტულ ობიექტებს და მათი დასრულება მოხდებოდა. იმასაც ვთავაზობდით, რომ გამოეყოთ ნებისმიერი პირი, გინდაც აღმასრულებელი, გინდაც პირთა ჯგუფი, ვინც აკონტროლებდა ამ თანხების მიზნობრიობას. მრავალი შეთავაზება იყო, თითქოს განიხილავდნენ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, არაფერზე პროკურატურა არ დათანხმდა.

***– მაშ, რას ნიშნავს ეს განცხადება?***

– მე ვფიქრობ, რომ როდესაც ეს დაზარალებულები სასამართლოდან უკმაყოფილონი წავიდნენ პროკურატურასთან, რაღაც ხომ უნდა ეთქვათ და თქვეს, რომ თითქოს გვთავაზობდნენ საპროცესო გარიგებას. აქეთ ვთავაზობდით და დღესაც ვთავაზობთ.

დღეს რეალურად არის ორი ინვესტორი, რომელიც არის საკმაოდ სერიოზული, რომელიც მზად არის, ჩადოს სერიოზული თანხები და ამ თანხით ძალიან ბევრი ობიექტი დასრულდება და ძალიან ბევრი დაზარალებული დაკმაყოფილდება.

თუ ეს სერიოზული შემოთავაზებაა პროკურატურის მხრიდან და მართლა დაზარალებულებზე ზრუნავენ, ჩვენ მზად ვართ ძალიან მჭიდრო კომუნიკაციაზე და, რა თქმა უნდა, საპროცესო შეთანხმებას გავაფორმებთ. იმასაც არ ვითხოვთ, რომ ერთიანად მოეხსნას ყადაღა ყველა მიწას, ეტაპობრივად მოხდეს. მისცენ ინვესტორს თანხის ჩადების საშუალება, მანაც დაინახოს, რომ ქონებას ეხსნება ყადაღა, რათა მას ჰქონდეს სერიოზული დაინტერესება.

***– საპროცესოს გაფორმების შემთხვევაში როგორია თქვენი პირობები?***

– ჩვენ არ ვითხოვთ, რომ როგორც კი გაფორმდება საპროცესო შეთანხმება, მეორე დღესვე გამოვიდნენ მაია და რუსუდანი საპატიმროდან. ავიღოთ დასაკვირვებელი პერიოდი, ბუნებრივია, ოთხ წელს ვერ ავიღებთ. აიღონ რამდენიმე თვე და, რომ დააკვირდებიან, საქმე ნამდვილად კეთდება, ბუნებრივია, მერე უნდა გამოუშვან. პროკურატურის მხრიდან ამ პერიოდის განმავლობაში იყო ერთადერთი შეთავაზება.

***– რა სახის?***

– დააკმაყოფილეთ ყველა დაზარალებული, მერე გაგიფორმებთ საპროცესო შეთანხმებას და მერე მოგიხსნით ყადაღასო. ეს ხომ არასერიოზულია?! ყველა დაზარალებულის დაკმაყოფილებას ერთი და ორი მილიონი ხომ არ ჰყოფნის. სახლში ხომ არ უდევთ რჩეულიშვილებს ამდენი ფული, თანაც, ციხეში თუ იქნებიან და ქონება არ გააყიდვინეს, რანაირად დააკმაყოფილებენ?! ეს ცოტა არასერიოზული შემოთავაზება იყო.

თუ იქნება რეალური და კონსტრუქციული შემოთავაზება, რა თქმა უნდა, პირველები ჩვენ ვართ დაინტერესებული საპროცესო შეთანხმებით და არა ის, რომ მოვალეობის მოხდის მიზნით თქვა, დააკმაყოფილე 6 ათასი დაზარალებული და გამოგიშვებთო. თუ დააკმაყოფილეს, ისედაც გამოვა მაია რჩეულიშვილი, ხომ?! იყოს რეალური შემოთავაზება და ჩვენ პირველები ვიქნებით თანახმა.

***– ვახტანგ რჩეულიშვილი აცხადებს, რომ 11 აპრილს მისი ვაჟი გამოდის საპატიმროდან. თქვენ რა ინფორმაციებს ფლობთ, რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია?***

– აპრილის შუა რიცხვებში გუკა რჩეულიშვილს 9-თვიანი ვადა უსრულდება. შესაძლოა, ეს ჰქონდა ბატონ ვახტანგს მხედველობაში. კოდექსითა და კონსტიტუციით არ შეიძლება, წინასწარი პატიმრობის ვადა აღემატებოდეს 9 თვეს. სწორედ ეს ვადა სრულდება და, თუ პროკურატურამ ვერ მოასწრო საქმის დასრულება სასამართლოში და განაჩენი ვერ მოესწრო, მაშინ გუკა რჩეულიშვილი, კანონის თანახმად, უნდა გათავისუფლდეს. ალბათ, ეს აქვს მხედველობაში ბატონ ვახტანგს.

## დაბმული დედა და ნაცემი 18 წლის შვილი — ყაჩაღობა თერჯოლის რაიონში

ყაჩაღობა მოხდა თერჯოლის რაიონის სოფელ ჭოგნარში.

3 შეიარაღებული ნიღბიანი პირი დოლონაძეების ოჯახში შეიჭრა. მძარცველებმა ოჯახის დიასახლისი დააბეს, ხოლო მისი 18 წლის ვაჟი ხელკეტებით ცემეს. როგორც დაზარალებულები ყვებიან, ოჯახიდან მხოლოდ ერთ ბეჭედია წაღებული. მძარცველებმა მანქანის ხმა გაიგონეს და გაიქცეს.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ტილერსონი: „ნატო რუსეთის აგრესიის ძირითადი შემაკავებელი ფაქტორია“




აშშ-ის სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონი ბრიუსელში ჩავიდა, სადაც ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს შეხვდა.

– დღეს ნატო რუსეთის აგრესიის ძირითადი შემაკავებელი ფაქტორია. ამიტომაც ტრამპის ადმინისტრაცია ნატოს მხარს უჭერს, – განაცხადა ტილერსონმა.

ტილერსონმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები აუცილებლად შენარჩუნდება.

– სანქციები გაგრძელდება, სანამ რუსეთი დონბასიდან ჯარს არ გაიყვანს და ყირიმს უკრაინას არ დაუბრუნებს!

ამავე დროს, ტილერსონმა აღნიშნა, რომ დონბასში მშვიდობის აღდგენის ერთადერთი გარანტი მინსკის სამშვიდობო პროცესია. ის ბოლომდე უნდა იქნეს მიყვანილი.

აშშ-ის სახელმწფო მდივანი ევროპაში შექმნილ ვითარებაზეც დაწვრილებით შეჩერდა. მან კვლავ აღნიშნა რუსეთის ფაქტორი, რომელიც ევროპის დესტაბილიზაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

– რუსეთი აფინანსებს მემარცხენე და მემარჯვენე პოპულისტებს, ყველას, ვინც ერთიანი ევროპის წინააღმდეგ გამოდის, – განაცხადა ტილერსონმა.

მოსკოვში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის გამოსვლას მწვავე რეაგირება მოჰყვა. რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა პესკოვმა აღნიშნა, რომ რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობები კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება.

– ჩვენი ურთიერთობები ასეთი დაძაბული ცივი ომის პერიოდშიც კი არ ყოფილა, – განაცხადა პესკოვმა.

პოლიტოლოგი ოკარა მიიჩნევს, რომ ბრიუსელში ტილერსონის გამოსვლამ ტრამპისადმი ილუზიები საბოლოოდ გააქარწყლა.

– პუტინი ატყუებდა ხალხს, არწმუნებდა, რომ ტრამპი „ჩვენია“. ახლა ეს მითი საბოლოოდ გაცამტვერდა, – ამბობს ოკარა.

პოლიტოლოგის აზრით, რუსეთ-აშშ-ის ურთერთობები კიდევ უფრო დაიძაბება.

რუსეთში ეკონომიკური მდგომარეობა უარესდება, შესაბამისად, საგარეო ფრონტზე დაძაბულობის ზრდა პუტინისათვის ხალხის ყურადღების სხვა მიმართულებით გადატანის საუკეთესო საშუალებაა – რა დროს ეკონომიკაა, სამშობლო საფრთხეშია. ახლა მთავარია, რაში გადაიზრდება რუსეთ-აშშ-ის წინააღმდეგობანი.

– სამწუხაროდ, პირდაპირი შეტაკებების ალბათობასაც არ გამოვრიცხავ, – თვლის ოკარა.

# ექსპერტები ტრამპს გადატვირთვას ურჩევენ




დონალდ ტრამპის რეიტინგი ვარდნას განაგრძობს. ის უკვე 35%-მდე დაეცა. ერთი თვის წინ ტრამპის მხარდამჭერთა რაოდენობა 46% იყო.

ექსპერტი მაიკ ჰილსონი პრეზიდენტს გადატვირთვას ურჩევს.

– ტრამპმა თავისი პოლიტიკა უნდა შეცვალოს, – თვლის იგი.

ჰილსონის აზრით, ტრამპმა მთავარი აქცენტი საგარეო ფორმატზე უნდა გააკეთოს. უწინარეს ყოვლისა, ესაა ისლამური სახელმწიფოს განადგურება და მისი დედაქალაქის, რაქქას დაკავება, აგრეთვე დონბასში ომის შეწყვეტა, რუსული აგრესიის განეიტრალება.

– ამ შემთხვევაში ტრამპის რეიტინგი მნიშვნელოვნად აიწევს, – აცხადებს ჰილსონი.

# მაიკ ფლინი: „რუსებმა 45.000 დოლარი გადამიხადეს“



აშშ-ის სენატმა უარი განაცხადა, რათა ჩვენების მიცემის სანაცვლოდ ტრამპის ექსმრჩეველ მაიკ ფლინისთვის იმუნიტეტი მიენიჭებინა.

– ფლინი მოვალეა, ჩვენება მოგვცეს! – ასეთია სენატის პოზიცია.

თავად ფლინმა აღიარა, რომ კომპანია „რაშა თუდეისგან“ მართლაც მიიღო 45.000 დოლარი და ამის თაობაზე არ განუცხადებია.

– მე „რაშა თუდეის“ მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე სიტყვით გამოვედი. ამისთვის რუსებმა ფული გადამიხადეს. – თქვა ფლინმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## საუკეთესო ტრადიციული ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“

**ტრადიციული საუკეთესო საუკუნოვანი გამოცდილების მქონე ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ - დილას და საღამოს.**

**☎ 599-73-48-21.**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ტერაქტი ეგვიპტეში

ეგვიპტეს ქალაქ ტანგაში, კაიროს მახლობლად, ტერაქტი მოხდა.

პოლიციის განყოფილებასთან აფეთქდა მოტოციკლი, რომელშიც ბომბი იდო. აფეთქების შედეგად დაშავდა 16 პოლიციელი.




მომხდარზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არცერთ ტერორისტულ ორგანიზაციას არ აუღია.

ეგვიპტის ხელისუფლები მომხდარში ორგანიზაცია „ძმებ მუსლიმანებს“ ადანაშაულებენ.

# ერაყში ექსტრემისტების ერთ-ერთი ლიდერი მოკლეს

ერაყის ტელევიზიის ცნობით, ლიკვიდირებულია ექსტრემისტების ერთ-ერთი ლიდერი ალ-ჯუმეილე. ის ისლამური სახელმწიფოს თავდაცვის მინისტრი გახლდათ.

– ალ-ჯუმეილეს ლიკვიდაცია ერაყის სამხედრო დაზვერვამ განახორციელა, – იტყობინება ერაყის ტელევიზია.

# პარაგვაის პარლამენტს ცეცხლი წაუკიდეს

პარაგვაიში მასობრივი არეულობები მოხდა. მანიფესტანტებმა პარლამენტის შენობაში შეჭრა ცადეს. პოლიციამ მათ ამაში ხელი შეუშალა. მაშინ დემონსტრანტებმა პარლამენტს ცეცხლი წაუკიდეს.



პოლიციასა და მანიფესტანტებს შორის მომხდარი შეტაკების შედეგად არიან დაშავებულები. დაიღუპა ერთი დემონსტრანტი.

პარაგვაის პრეზიდენტმა კარტესმა მომხდარს სამარცხვინო ფაქტი უწოდა და შინაგან საქმეთა მინისტრი ტადეო თანამდებობიდან მოხსნა.

– როცა ქვეყანაში ასეთი ამბები ხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი სიტუაციას არ ფლობს, – განაცხადა პრეზიდენტმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

# ინდონეზიაში გიგანტურმა პითონმა მამაკაცი გადაყლაპა

ინდონეზიის კუნძულ სულავესიზე გიგანტურმა პითონმა მთლიანად გადაყლაპა მოზრდილი მამაკაცი. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 25 წლის აკბარ სალუბირო კვირა დღეს გაუჩინარდა. იმ დღეს ის მეზობელ სოფელში წასვლას აპირებდა. მეორე დღის საღამოს მისი გაუჩინაურების გამო შეშფოთებული თანასოფლელები მის ძებნას შეუდგნენ და მამაკაცის სახლის უკანა ეზოში შვიდმეტრიან მუცელგაბერილ პითონს გადააწყდნენ. მათ გადაწყვიტეს, რეპტილიისთვის მუცელი გაეჭრათ, რის შემდეგაც სალუბიროს გვამი იპოვეს.



სოფლის საბჭოს თავმჯდომარე სალუბირო ჯუნაიდის თქმით, გველის პოვნის წინა ღამეს ხალხს ყვირილი ესმოდა, რომელიც პალმების ჭალიდან მოდიოდა, მაგრამ, რატომ არავინ გამოეხმაურა მას, უცნობია.

# ამერიკელმა პლაჟზე გიგანტური მარიხუანის „სიგარა“ იპოვა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ დეიტონ-ბიჩის პლაჟზე ზღვის ტალღებმა მარიხუანის ტომარა გამორიყა, რომელსაც გიგანტური სიგარის ფორმა ჰქონდა მიცემული.

შტატის მცხოვრები ჯეფ სტოლოვიცი ამტკიცებს, რომ ის იმ დროს აღმოაჩინა, როდესაც ზღვის სანაპიროზე სეირნობდა. მან ტომარაზე წითელი ლაქები შენიშნა, იფიქრა, რომ სისხლის ლაქები იყო და ნაპოვნის თაობაზე პლაჟის დაცვის სამსახურს აცნობა.



როგორც პლაჟის უსაფრთხოების დაცვის სამსახურის წარმომადგენელმა მაიკ ბერარდმა განაცხადა, ტომარაში ჩაწყობილი მარიხუანა დასველდა და ძლიერ სუნს უშვებდა.

– მისი ზომისა და ფორმის მიხედვით, მისი წონა დაახლოებით 4,5 კილოგრამი იქნებოდა, – აღნიშნა ბერარდმა.

აღსანიშნავია, რომ სტოლოვიცის მიერ აღმოჩენილმა „სიგარამ“ წყალში მინიმუმ ორი კვირა მაინც დაყო. ბერარდის თქმით, დროდადრო ზღვა ნაპირზე ნარკოტიკებს გამორიყავს ხოლმე. როგორც წესი, მათ ანადგურებენ ან მესაზღვრეებს გადასცემენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# განცხადებები

## გთავაზობთ სამსახურს

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.
- სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 280 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

## მკურნალობა

- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09, 295-40-58 ჯემალი.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# საბურთალომ გორში მოიგო და ლიდერი გახდა

**დილა – საბურთალო 0:1**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

0:1 ვაგნერი (43)

**დილა:** მუჯრიშვილი, გაგოშიძე (ტრავალიე 70), ფოფხაძე (ჟოაკიმ რიბეირო 46), კვახაძე, ქარქუზაშვილი, კირკიტაძე, დერეტი, ძარია, წიქარიძე, ნონიკაშვილი, დო როსარიო (პაპავა 60)

**საბურთალო:** კუპატაძე, ელვინ ტერა, მარგველაშვილი, ცნობილაძე, ლაკვეხელიანი, არზიანი (ალთუნაშვილი 64), მამუჩაშვილი, ხარაიშვილი, ვაგნერი, შინდაგორიძე (კოხრეიძე 67), იმნაძე (ბიძინაშვილი 80)

პირველი საგარეო გამარჯვება მოიპოვა საბურთალომ, რომელიც იმ გორის დილას სტუმრობდა, რომელმაც წინა ტურში ასევე სტუმრად თბილისის დინამოს მოუგეს. ამჯერად უკვე დედაქალაქელებმა, მხოლოდ საბურთალომ იმარჯვა დაძაბულ ბრძოლაში – 1:0.

არადა, საბურთალომ ქართლელებთან მატჩში რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი მოისაკლისა – ოთო გოშაძე, თედორე გრიგალაშვილი, ცოტნე ნადარაია, ნოდარ იაშვილი, გიორგი ფანცულაია და გრიგოლ ჩაბრაძე. მიუხედავად დიდი დანაკლისისა, თბილისელებმა 3 ქულა მოიპოვეს და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს და მეოთხე ტურის შემდეგ, საბურთალო 9 ქულით გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცა.

მატჩი სტუმრებმა აქტიურად დაიწყეს – ჯერ ლაშა შინდაგორიძემ მოსინჯა შორი მანძილიდან დარტყმა, შემდეგ კი გიორგი ხარაიშვილმა. ტაიმის შუაში მასპინძლებმა რეალური საგოლე მომენტი შექმნეს – ლევან ნონიკაშვილი გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ლაზარე კუპატაძემ ბურთი მოიგერია და თავისიანები გაშვებულ გოლს გადაარჩინა.

43-ე წუთზე კი საბურთალო დაწინაურდა, გოლი კი ასე გავიდა: გამოცდილმა საყრდენმა ზურაბ არზიანმა ბურთი საკუთარ საჯარიმოთან მოიპოვა, ერთ მცველს გასცდა და გამოზომილი პასით ბრაზილიელი ვაგნერი მეკარესთან გაიყვანა პირისპირ და მანაც ტექნიკური დარტყმით მუჯრიშვილი უშანსოდ დატოვა.

მეორე ნახევარში სათამაშო უპირატესობას უკვე გორელები ფლობდნენ, საბურთალოელები კი კონტრშეტევებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. მიუხედავად ამისა, თბილისელებს ანგარიშის გაზრდის რამდენიმე კარგი შანსი ჰქონდათ...

მატჩში ბოლო სახიფათო მომენტი დილამ შექმნა, მაგრამ საბურთალომ შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანა და მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა.

**ლოკომოტივი-ტორპედო 1:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

1:0 კიკნაძე (23), 1:1 საბანაძე (24)

**ლოკომოტივი:** ქურდაძე, ჭანტურია, სიხარულიძე, ქავთარაძე, გავაშელიშვილი, დიასამიძე (მენთეშაშვილი 19, ჩიტეიშვილი 47), კიკნაძე (არდაზიშვილი 78) ხიდეშელი, ღონღაძე, უბილავა, სამურკასოვი

**ტორპედო:** რ.კვასხვაძე, ტაბატაძე, ჭიჭინაძე, გურული, ქიმაძე, გიგაური, მამასახლისი, მახარობლიძე (ნ.კვასხვაძე 87), კუხიანიძე, ბაბუნაშვილი (საღრიშვილი 60), საბანაძე (კაპანაძე 78)

ტორპედოელმა მცველმა ვაჟა ტაბატაძემ მატჩის დაწყებამდე გაიგო რომ მამა გარდაეცვალა, მაგრამ სათამაშოდ გავიდა და თავის გუნდს დიდი დახმარებაც გაუწია. 24-ე წუთზე სწორედ მისი ჩაწოდების შემდეგ საჯარიმოში მყოფმა ნიკა საბანაძემ მოხდენილი თავური დარტყმით გაათანაბრა ანგარიში.

ამ გოლამდე ერთი წუთით ადრე რკინიგზელებმა სწრაფი შეტევის შედეგად მოახერხეს დაწინაურება. როინ კვასხვაძესთან პირისპირ გასულმა გიორგი კიკნაძემ ბოძებული შანსი ხელიდან არ გაუშვა.

პირველი ტაიმი მთლიანობაში თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, ეგ იყო, შეტევაში აქტიურობის მიუხედავად, სტუმრებს სხვა რეალური საგოლე მომენტი არ შეუქმნიათ, მასპინძლებს კი 2 მწვავე შეტევა გამოუვიდათ და ორივე ეპიზოდში მამია გავაშელიშვილი ხელსაყრელი პოზიციიდან ემუქრებოდა კარს. თუმცა, პირველ შემთხვევაში მას მეკარემ აჯობა, მეორედ კი თავდამსხმელმა მიზანს მცირედით ააცილა.

შესვენების შემდეგ თამაშის სურათი დიდად არ შეცვლილა. მეტოქეები მორიგეობით ფლობდნენ ინიციატივას, გატანასაც ცდილობდნენ, ოღონდ ამაოდ. საბოლოოდ სტუმარმასპინძელი ფრეს დასჯერდნენ და ეს შედეგი ლოგიკურიც იყო.



**შუქურა-კოლხეთი 2:4**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

1:0 კუტალია (21), 1:1, 1:2 კოვტალიუკი (33, 56), 2:2 კუტალია (61), 2:3 კოვტალიუკი (82), 2:4 ბუხაიძე (90)

**შუქურა:** ჯიოევი, მახარაძე, ართმელაძე (საბაძე 59), კუტალია, ჯეფინიო (გოგიტიძე 90), კლიმიაშვილი (ჭანუყვაძე 62), ს.გურული, ჭეჭელაშვილი, ჭეჟია, მამულაშვილი, ჩაჩუა

**კოლხეთი:** შერმადინი, გ.კილასონია, კერძევაძე, დაფე, ოტიენო, ჯანელიძე, ჟიშკარიანი, კოვტალიუკი, კორობკა (ლუკავა 64), ენდელაძე (ბუხაიძე 77), ბოლქვაძე

**გაძევება:** ჩაჩუა (65)

ეროვნულ ლიგაში პირველი ჰეთ-თრიქი დაფიქისრდა და მისი ავტორი უკრაინელი მიკოლა კოვტალიუკი აღმოჩნდა.

მატჩი ორივე გუნდმა აქტიურად დაიწყო და კლიმიაშვილმა და ჯანელიძემ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობები დაკარგეს. 21-ე წუთზე გურულის დაწყებული შეტევა კუტალიამ დაასრულა – 1:0.

გაშვებული გოლის შემდეგ კოლხეთი გააქტიურდა და რამდენიმე მცდელობის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა – კოვტალიუკმა ქობულეთელთა მცველების შეცდომით ისარგებლა და ახლო მანძილიდან თავით გაიტანა – 1:1.

56-ე წუთზე კოლხებმა „ლეგიონერული“ გოლი გაიტანეს – დაფემ მარცხენა ფლანგზე ოტიენო მოძებნა, რომელმაც ერთი შეხებით ჩააწოდა და ქობულეთელთა კართან ყველას კოვტალიუკმა დაასწრო – 1:2.

5 წუთში შუქურამ თანაფარდობა აღადგინა – ავტორად ისევ კუტალია მოგვევლინა, რომელმაც ოსტატური დარტყმით გაიტანა – 2:2.

64-ე წუთზე, უხეშობისთვის ჩაჩუამ მეორე ყვითელი მიიღო და ქობულეთელები კაცნაკლულნი დარჩნენ.

მეორე ტაიმის შუაწელში მასპინძლებს დაწინაურება შეეძლოთ, მაგრამ მარცხენა ფლანგიდან კუტალიას გამოზომილი პასის შემდეგ, კოლხეთის კართან უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ბორის მახარაძემ თავით საუცხოო შანსი ვერ გამოიყენა და ბურთი კარს ააცილა. მალევე ბრაზილიელმა ლეგიონერმა ჯეფინიომ გაისროლა – კოლხეთი მეკარემ იხსნა.

82-ე წუთზე კურიზოული გოლი გავიდა: ეტიენომ საჯარიმოში გადაცემა გააკეთა, ჯიოევმა ჩათვალა, რომ ბურთი გადადიოდა, მაგრამ დაფემ ბოლომდე ითამაშა და მისი პასის შემდეგ, ტყავის სფერო მასპინძელთა მეკარეს ფეხებს შორის გაუძვრა, ხოლო კოვტალიუკმა ეროვნულ ლიგაში თავისი პირველი დუბლი შეასრულა – 2:3.

მატჩში წერტილი გიორგი ბუხაიძემ დასვა, რომელმაც თავით ისე გაიტანა, ხელი არავის შეუშლია.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 4 | 3 | 0 | 1 | 4-4 | 9 |
| 2.ჩიხურა | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 3.ლოკომოტივი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 4.კოლხეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 8-5 | 6 |
| 5.ტორპედო | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 6.სამტრედია | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 7.დილა | 4 | 1 | 1 | 2 | 2-3 | 4 |
| 8.დინამო (ბთ) | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 9.დინამო (თბ) | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 10.შუქურა | 4 | 0 | 2 | 2 | 5-9 | 2 |

# ქუთაისელთა მეორე ადგილი და ინციდენტი ბათუმში

**ქუთაისი-რუსთავი 87:77**

**(21:15, 27:21, 15:25, 24:16)**

ეს გუნდები ცხრილში გვერდიგვერდ არიან: ქუთაისი – მეორეზე, ხოლო ქვემოქართლური გუნდი – მესამეზე, თუმცა მათ შორის არსებული 4-ქულიანი სხვაობის აღმოფხვრა დარჩენილ 5 ტურში თითქმის წარმოუდგენელი იყო. ქუთაისელებს მოგება უნაღდებდა რეგულარულში მე-2 ადგილს და რუსთავთან ნახევარფინალურ სერიაში მოედნის უპირატესობას იღებდა. ასეც მოხდა – იმერულმა კლუბმა 87:77 დაამარცხა რუსთავი.

მასპინძლები თავიდანვე დაწინაურდნენ და ლიდერობა მთელი მატჩის განმავლობაში არ დაუთმიათ. მეორე პერიოდის შუაწელში ანგარიში გათანაბრდა (23:23), დანარჩენ დროს კი მასპინძლები ლიდერობდნენ.

ქუთაისმა დიდი შესვენებისთვის 12-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა, თუმცა მესამე მეოთხედი 15:25 დათმო და გადამწყვეტი პერიოდის წინ მასპინძლების ლიდერობიდან მხოლოდ 2 ქულა დარჩა.

მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე გაგრძელება მე-11 გვერდზე

## შედეგები

### 1 აპრილი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლივერპული-ევერტონი ... 3:1
ბარნლი-ტოტენჰემი ... 0:2
ჩელსი-კრ.პალასი ... 1:2
ჰალი-ვესტ ჰემი ... 2:1
ლესტერი-სტოკი ... 2:0
მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი ... 0:0
უოტფორდი-სანდერლენდი ... 1:0
საუთჰემპტონი-ბორნმუთი ... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 29 | 22 | 3 | 4 | 60-23 | 69 |
| 2.ტოტენჰემი | 29 | 18 | 8 | 3 | 57-21 | 62 |
| 3.ლივერპული | 30 | 17 | 8 | 5 | 64-37 | 59 |
| 4.სიტი | 28 | 17 | 6 | 5 | 54-30 | 57 |
| 5.მანჩესტერი | 28 | 14 | 11 | 3 | 42-23 | 53 |
| 6.არსენალი | 27 | 15 | 5 | 7 | 56-34 | 50 |
| 7.ევერტონი | 30 | 14 | 8 | 8 | 52-33 | 50 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 30 | 12 | 8 | 10 | 39-38 | 44 |
| 9.სტოკი | 30 | 9 | 9 | 12 | 33-44 | 36 |
| 10.საუთჰემპტონი | 28 | 9 | 7 | 12 | 33-36 | 34 |
| 11.ბორნმუთი | 30 | 9 | 7 | 14 | 42-54 | 34 |
| 12.უოტფორდი | 29 | 9 | 7 | 13 | 34-48 | 34 |
| 13.ლესტერი | 29 | 9 | 6 | 14 | 35-47 | 33 |
| 14.ვესტ ჰემი | 30 | 9 | 6 | 15 | 41-54 | 33 |
| 15.ბარნლი | 30 | 9 | 5 | 16 | 31-44 | 32 |
| 16.კრ.პალასი | 29 | 9 | 4 | 16 | 38-47 | 31 |
| 17.სუონსი | 29 | 8 | 3 | 18 | 36-63 | 27 |
| 18.ჰალი | 30 | 7 | 6 | 17 | 28-59 | 27 |
| 19.მიდლსბრო | 28 | 4 | 10 | 14 | 20-33 | 22 |
| 20.სანდერლენდი | 29 | 5 | 5 | 19 | 24-51 | 20 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნსლი-უენსდი ... 1:1
ასტონ ვილა-ნორვიჩი ... 2:0
ბრენტფორდი-ბრისტოლი ... 2:0
ბრაიტონი-ბლექბერნი ... 1:0
ჰადერსფილდი-ბარტონი ... 0:1
იფსვიჩი-ბირმინგემი ... 1:1
ნიუკასლი-უიგანი ... 2:1
პრესტონი-ნოტინგემი ... 1:1
როტერჰემი-ფულემი ... 0:1
ვულვზი-კარდიფი ... 3:1
რედინგი-ლიდსი ... 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვილიარეალი-ეიბარი ... 2:3
ოსასუნა-ბილბაო ... 1:2
სოსიედადი-ლეგანესი ... 1:1
მალაგა-ატლეტიკო ... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 27 | 20 | 5 | 2 | 71-28 | 65 |
| 2.ბარსელონა | 28 | 19 | 6 | 3 | 81-25 | 63 |
| 3.ატლეტიკო | 29 | 17 | 7 | 5 | 54-23 | 58 |
| 4.სევილია | 28 | 17 | 6 | 5 | 52-34 | 57 |
| 5.სოსიედადი | 29 | 15 | 4 | 10 | 43-40 | 49 |
| 6.ვილიარეალი | 29 | 13 | 9 | 7 | 41-23 | 48 |
| 7.ბილბაო | 29 | 14 | 5 | 10 | 37-33 | 47 |
| 8.ეიბარი | 29 | 12 | 8 | 9 | 47-41 | 44 |
| 9.ესპანიოლი | 29 | 11 | 10 | 8 | 42-40 | 43 |
| 10.ალავესი | 28 | 10 | 10 | 8 | 29-33 | 40 |
| 11.სელტა | 27 | 11 | 5 | 11 | 40-45 | 38 |
| 12.ლას პალმასი | 28 | 9 | 8 | 11 | 44-45 | 35 |
| 13.ბეტისი | 29 | 8 | 7 | 14 | 32-46 | 31 |
| 14.ვალენსია | 28 | 8 | 6 | 14 | 38-51 | 30 |
| 15.დეპორტივო | 28 | 6 | 9 | 13 | 31-43 | 27 |
| 16.მალაგა | 29 | 6 | 9 | 14 | 33-47 | 27 |
| 17.ლეგანესი | 29 | 6 | 9 | 14 | 23-42 | 27 |
| 18.ხიხონი | 28 | 5 | 6 | 17 | 31-57 | 21 |
| 19.გრანადა | 28 | 4 | 7 | 17 | 25-58 | 19 |
| 20.ოსასუნა | 29 | 1 | 8 | 20 | 29-69 | 11 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლევანტე-მირანდესი ... 2:1
უესკა-ხეტაფე ... 0:0
მურსია-კადისი ... 1:1
ხირონა-რაიო ... 1:3

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-აუგსბურგი ... 6:0
შალკე-დორტმუნდი ... 1:1
ჰამბურგი-კიოლნი ... 2:1
ფრაიბურგი-ვერდერი ... 2:5
ლაიპციგი-დარმშტადტი ... 4:0
აინტრახტი-გლადბახი ... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 26 | 20 | 5 | 1 | 67-13 | 65 |
| 2.ლაიპციგი | 26 | 16 | 4 | 6 | 47-28 | 52 |
| 3.ჰოფენჰაიმი | 26 | 12 | 12 | 2 | 49-26 | 48 |
| 4.დორტმუნდი | 26 | 13 | 8 | 5 | 55-28 | 47 |
| 5.ჰერტა | 26 | 12 | 4 | 10 | 35-33 | 40 |
| 6.კიოლნი | 26 | 9 | 10 | 7 | 38-31 | 37 |
| 7.აინტრახტი | 26 | 10 | 7 | 9 | 26-27 | 37 |
| 8.ფრაიბურგი | 26 | 10 | 5 | 11 | 34-47 | 35 |
| 9.შალკე | 26 | 9 | 7 | 10 | 33-28 | 34 |
| 10.გლადბახი | 26 | 9 | 6 | 11 | 30-34 | 33 |
| 11.ვერდერი | 26 | 9 | 5 | 12 | 39-46 | 32 |
| 12.ლევერკუზენი | 25 | 9 | 4 | 12 | 37-40 | 31 |
| 13.ჰამბურგი | 26 | 8 | 6 | 12 | 26-47 | 30 |
| 14.მაინცი | 25 | 8 | 5 | 12 | 33-41 | 29 |
| 15.ვოლფსბურგი | 25 | 8 | 5 | 12 | 23-34 | 29 |
| 16.აუგსბურგი | 26 | 7 | 8 | 11 | 24-40 | 29 |
| 17.ინგოლშტადტი | 25 | 5 | 4 | 16 | 23-42 | 19 |
| 18.დარმშტადტი | 26 | 4 | 3 | 19 | 17-51 | 15 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰანოვერი-უნიონი ... 2:0
ზანდჰაუზენი-ბოხუმი ... 0:0
ვიურცბურგი-არმინია ... 1:1

**იტალია. სერია ა**

სასუოლო-ლაციო ... 1:2
რომა-ემპოლი ... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 29 | 24 | 1 | 4 | 59-19 | 73 |
| 2.რომა | 30 | 22 | 2 | 6 | 66-26 | 68 |
| 3.ნაპოლი | 29 | 19 | 6 | 4 | 68-32 | 63 |
| 4.ლაციო | 30 | 18 | 6 | 6 | 52-31 | 60 |
| 5.ინტერი | 29 | 17 | 4 | 8 | 55-31 | 55 |
| 6.ატალანტა | 29 | 17 | 4 | 8 | 46-33 | 55 |
| 7.მილანი | 29 | 16 | 5 | 8 | 42-32 | 53 |
| 8.ფიორენტინა | 29 | 13 | 9 | 7 | 46-37 | 48 |
| 9.სამპდორია | 29 | 11 | 8 | 10 | 35-34 | 41 |
| 10.ტორინო | 29 | 10 | 10 | 9 | 54-48 | 40 |
| 11.კიევო | 29 | 11 | 5 | 13 | 34-41 | 38 |
| 12.უდინეზე | 29 | 10 | 6 | 13 | 36-38 | 36 |
| 13.ბოლონია | 29 | 9 | 7 | 13 | 29-42 | 34 |
| 14.კალიარი | 29 | 9 | 5 | 15 | 36-58 | 32 |
| 15.სასუოლო | 30 | 9 | 4 | 17 | 37-48 | 31 |
| 16.ჯენოა | 29 | 7 | 8 | 14 | 30-43 | 29 |
| 17.ემპოლი | 30 | 5 | 7 | 18 | 17-48 | 22 |
| 18.პალერმო | 29 | 3 | 6 | 20 | 24-60 | 15 |
| 19.კროტონე | 29 | 3 | 5 | 21 | 21-49 | 14 |
| 20.პესკარა | 29 | 2 | 6 | 21 | 29-66 | 12 |

**იტალია. სერია ბ**

პრო ვერჩელი-ბარი ... 1:0
სპეცია-ბენევენტო ... 1:3
ასკოლი-კარპი ... 1:2
ლატინა-ჩიტადელა ... 0:2
ტრაპანი-ვერონა ... 0:2
პიზა-სალერნიტანა ... 0:1
ნოვარა-ტერნანა ... 1:2
ბრეშა-ენტელა ... 2:2
პერუჯა-ვიჩენცა ... 1:0

**საფრანგეთი. თასი**

**ფინალი**

მონაკო-პსჟ ... 1:4

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მარსელი-დიჟონი ... 1:1
ბასტია-ლილი ... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 30 | 22 | 5 | 3 | 87-26 | 71 |
| 2.პსჟ | 30 | 21 | 5 | 4 | 60-21 | 68 |
| 3.ნიცა | 30 | 18 | 10 | 2 | 48-24 | 64 |
| 4.ლიონი | 29 | 16 | 2 | 11 | 60-34 | 50 |
| 5.მარსელი | 31 | 13 | 8 | 10 | 44-38 | 47 |
| 6.ბორდო | 30 | 12 | 10 | 8 | 42-37 | 46 |
| 7.სტ.ეტიენი | 30 | 11 | 11 | 8 | 34-24 | 44 |
| 8.გენგამი | 31 | 11 | 8 | 12 | 38-39 | 41 |
| 9.რენი | 30 | 9 | 12 | 9 | 28-33 | 39 |
| 10.ანჟე | 30 | 11 | 6 | 13 | 31-38 | 39 |
| 11.ნანტი | 30 | 10 | 8 | 12 | 28-44 | 38 |
| 12.ტულუზა | 30 | 9 | 10 | 11 | 32-33 | 37 |
| 13.ლილი | 31 | 10 | 7 | 14 | 30-37 | 37 |
| 14.მეცი | 29 | 9 | 8 | 12 | 29-53 | 35 |
| 15.მონპელიე | 30 | 8 | 9 | 13 | 43-54 | 33 |
| 16.კაენი | 30 | 9 | 5 | 16 | 31-51 | 32 |
| 17.დიჟონი | 31 | 6 | 11 | 14 | 39-48 | 29 |
| 18.ნანსი | 31 | 7 | 7 | 17 | 21-41 | 28 |
| 19.ბასტია | 31 | 5 | 10 | 16 | 24-45 | 25 |
| 20.ლორიანი | 30 | 7 | 4 | 19 | 32-61 | 25 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლანსი-ბრესტი ... 0:2

**ჰოლანდია. ეროვიზიონი**

ალკმაარი-გრონინგენი ... 0:0
ზვოლე-ექსელსიორი ... 1:1
სპარტა-პსვ ... 0:2
უტრეხტი-ტილბურგი ... 2:0
ერაკლესი-ჰერენვენი ... 4:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ტონდელა-ეშტორილი ... 0:2
ბოავიშტა-რიუ ავე ... 0:1
ბენფიკა-პორტუ ... 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

უფა-ლოკომოტივი ... 0:1
არსენალი-ტომი ... 3:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰამილტონი-სტ.ჯონსონი ... 1:0
ინვერნესი-კილმანროკი ... 1:1
პარტიკი-როსი ... 2:1
რეინჯერსი-მოზერველი ... 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სიონი-თუნი ... 2:1
სტ.გალენი-ბაზელი ... 0:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

სტ.პოლენი-რაპიდი ... 1:1
აუსტრია-ადმირა ... 0:2
მატერსბურგი-რიდი ... 2:1
შტურმი-ვოლფსბერგერი ... 4:0

**ბელგია. პლეი ოფი (ჩღ)**

შარლერუა-ოსტენდე ... 1:1

**ბელგია. პლეი ოფი (ეღ)**

კორტრაიკი-მუსკრონი ... 2:1
სტ.ტრუიდენი-ბევერენი ... 3:0
ეუპენი-ლუზერალე ... 2:2
გენკი-ლოკერენი ... 4:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

იანინა-ქსანთი ... 1:1
ლევადიაკოსი-ვერია ... 3:1
ოლიმპიაკოსი-პლატანიასი ... 2:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

აკჰისარი-ბაშაქშეჰირი ... 2:1
ალანია-ქაშიმფაშა ... 3:1
ანტალია-ქაისერი ... 2:1
ქარაბუქი-ფენერბახჩე ... 0:1

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

ლიბერეცი-კარვინა ... 2:0
იიჰლავა-სლოვაცკო ... 0:0
ბრნო-დუკლა ... 0:0
ზლინი-ჰრადეც კრალოვე ... 1:3
პრჟიბრჟამი-ბოჰემიანსი 1905 ... 1:0
პლზენი-ტეპლიცე ... 2:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

არკა-ლენჩნა ... 2:4
პლოცკი-კრაკოვია ... 4:1
ლეგია-პოგონი ... 2:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

**პლეი ოფი**

ჩერნომორეცი-ოლიმპიკი ... 0:0

**პლეი აუტი**

დნიპრო-ზვეზდა ... 1:0
ვორსკლა-ვოლინი ... 2:0

**დანია. სუპერლიგა**

**პლეი აუტი**

სილკებორგი-ოლბორგი ... 0:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰელსინბორგი-ტრელებორგი ... 1:0
დალკურდი-ბრომაპოიკარნა ... 0:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

კრისტიანსუნი-მიოლდე ... 0:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# როდის არის ცხელება საგანგაშო

ეკა ირემაშვილი

ცხელება ბავშვებში მშობლებისთვის ერთ-ერთი ყველაზე საშიში და საგანგაშო მდგომარეობაა. ამ დროს ყველა დედა ცდილობს, ბავშვი ჩააწვინოს საწოლში, მოადინოს ოფლი, დაალევინოს წამლები, დაუგდოს ტემპერატურა და გამოაკეთოს.

როდის არის ცხელება საგანგაშო, როდის უნდა ინერვიულოს მშობელმა და როდის – არა, ან რას ნიშნავს ნორმალური ტემპერატურა? – ამ თემებზე იაშვილის კლინიკის სამედიცინო დირექტორი, პროფესორი, პედიატრი ივანე ჩხაიძე საუბრობს.

**ივანე ჩხაიძე:**

– მშობელმა მაშინ უნდა ინერვიულოს, როცა საჭიროა, მაგრამ ბევრ მშობელს ასე მოქცევა არ შეუძლია. არადა, მშობლის ნერვიულობა, შეიძლება, არასწორი ნაბიჯის მიზეზი გახდეს.

ცხელება ბავშვის ავადმყოფობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ნიშანია. ის მშობლის შეშფოთების გამომწვევი ხშირი მიზეზია. ბევრი მშობელი იყენებს სიცხის დამწევ საშუალებას, თუნდაც მინიმალური ცხელების დროს, რადგან სურს, რომ ბავშვმა შეინარჩუნოს „ნორმალური“ ტემპერატურა, მაშინაც კი, როდესაც ის საჭირო არ არის და ცხელება მინიმალურია.

ცხელება არ არის მიბმული რაიმე კონკრეტულ დაავადებასთან. ცხელება შეიძლება ახასიათებდეს ძალიან ბევრი სისტემის დაზიანებას, ამიტომ ის ყველაზე ხშირი შეშფოთებისა და ნერვიულობის გამომწვევი მიზეზია. ცხელება ფიზიოლოგიურ მექანიზმად შეიძლება განვიხილოთ, რომელიც ეხმარება ორგანიზმს, დაამარცხოს ინფექცია. ეს შეიძლება იყოს ვირუსი ან ბაქტერია. ის ეხმარება ორგანიზმს ვირუსისა და ბაქტერიის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუ ცხელებას დაიყვანთ დაბალ ციფრებამდე, ამით ორგანიზმს უსპობთ საშუალებას, ებრძოლოს ვირუსსა და ბაქტერიას. ამიტომ ცხელებას ყოველთვის ცუდად ნუ უყურებთ, მთავარია, იცოდეთ, როდის იწყება ცუდი ცხელება და როდის ებრძვის ორგანიზმი მისი დაავადების გამომწვევ მიზეზს.

არ არსებობს დღეს არცერთი კვლევა, რომელიც მიუთითებს, რომ ცხელება აუარესებს ძირითადი დაავადების მიმდინარეობას. მარტივად რომ ვთქვათ, ფილტვების ანთება ცხელებით უფრო მძიმეა, ვიდრე ფილტვების ანთება ცხელების გარეშე, ყურის ტკივილი უფრო უარესია, რომელსაც ახლავს ცხელება, ვიდრე ყურის ტკივილი, რომელიც ცხელების გარეშე მიმდინარეობს.

ჩვენი მიზანი უნდა იყოს არა ტემპერატურის დაწევა, არამედ ის, რომ ბავშვს შევუქმნათ კომფორტი. შეიძლება, ოჯახშია ორი ბავშვი, ერთი 37 ტემპერატურაზე წევს, ვერ დგება, ხასიათი არ აქვს, არ ჭამს, არსად წასვლა არ უნდა, მეორე კი, რომელსაც 39 აქვს ტემპერატურა, დედა ამბობს, ვერ მიხვდები, სიცხე რომ აქვს, თუ არ გავუსინჯეო, ანუ ბავშვი აქტიურია, დარბის, სკოლაშიც შეიძლება წავიდეს. აქედან გამომდინარე, სიცხეზე ორგანიზმის პასუხი ძალიან ინდივიდუალურია.

ცხელების მართვის ძირითადი იდეაა არა ტემპერატურის აუცილებელი შემცირება, არამედ საერთო კომფორტის უზრუნველყოფა. თუ ჩვენს შვილს სიცხე აქვს, მნიშვნელოვანია, ბავშვის აქტიურობა, დაავადების სხვა ნიშნები შევაფასოთ, მივაქციოთ ყურადღება, იღებს თუ არა იმ რაოდენობის სითხეს, რაც აუცილებელია მისთვის, ვიდრე ამოცანად დავისახოთ ტემპერატურის დაბლა დაწევა.

***– რას ნიშნავს ნორმალური ტემპერატურა და რას ნიშნავს ცხელება?***

– ორი საუკუნის წინ გერმანელმა ვუნდერლიხმა 25 ათას პაციენტში 1 მილიონზე მეტჯერ გაზომა იღლიაში ტემპერატურა და მივიდა დასკვნამდე, რომ ნორმალური ტემპერატურა არის 36,2-დან 37,5-მდე და განსაზღვრა საშუალო ტემპერატურად ის წითელი



ივანე ჩხაიძე

ხაზი, რომელიც ვერცხლისწყლის თერმომეტრს აქვს – 37 გრადუსი. ბევრი მშობლისთვის 36,5 არის ნორმალური ტემპერატურა, ხოლო 36,9 უკვე სიცხეა და იწყებს ნერვიულობას. ერთ-ერთი პირველი გაუგებრობა, რაც შეიძლება იყოს მოხსნილი, არის ის, რომ ჩვენ ტემპერატურის საშუალო ფარგლებად განსაზღვრული გვაქვს 37,0 და არა 36,5.

საეჭვო და სანერვიულო ტემპერატურად 1870 წლიდან მიჩნეულია 38,0. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ის ტემპერატურა, რომელიც 38 გრადუსამდეა, არ არის სანერვიულო. დილას და საღამოს ტემპერატურის გაზომვის დროს 0,3-0,4 სხვაობა არის დასაშვები, ამიტომ, თუ გსურთ გაიგოთ ზუსტი ტემპერატურა, სიცხე უნდა გაიზომოთ დილით. არ მიიღოთ გადაწყვეტილება საღამოს ტემპერატურიდან გამომდინარე. ეს არ იქნება სწორი. არც კვების შემდეგ გასინჯოთ ტემპერატურა. განსაკუთრებით საყურადღებოა ძუძუთი კვებაზე მყოფი ბავშვები. ძუძუთი კვების შემდეგ გასინჯული ტემპერატურა აუცილებლად იქნება უფრო მეტი, ვიდრე ნორმალური ტემპერატურა. არ გასინჯოთ ტემპერატურა არც ბავშვის სირბილის შემდეგ.

***– თუ ბავშვს სიცხე აქვს 37 და მოთენთილია, ეს დაავადების ნიშანია?***

– რა თქმა უნდა, ეს დაავადების ნიშანია. მოთენთილობა შეიძლება 36,5-ზეც იყოს და ეს იყოს მშობლისთვის საგანგაშო. ამ დროს სიცხე კი არ უნდა იყოს ნერვიულობის საფუძველი, არამედ მივარდნილობა და მოთენთილობა, რაც ნებისმიერ ტემპერატურაზე, – 36-ზეც და 39-ზეც ერთნაირად სანერვიულოა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყველა ასაკს გააჩნია თავისი ნორმა – სრულიად სხვა არის ახალშობილთა ასაკი და სრულიად სხვა არის 15 წლის ასაკი.

***– რა სარგებლობა მოაქვს ცხელებას?***

– ცხელებას ნამდვილად მოაქვს სარგებლობა. ის თრგუნავს მიკროორგანიზმების ზრდასა და გამრავლებას, ეხმარება ორგანიზმის დაცვით, იმუნურ ინფექციას, ხელს უწყობს ბაქტერიებისა და ვირუსების საწინააღმდეგო ანტისხეულების წარმოქმნას, ამცირებს თავისუფალი რკინის ხელმისაწვდომობას ბაქტერიების გამრავლებისათვის. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცხელება სულაც არ არის ცუდი. ბევრ ადამიანს აქვს ცხელების ფობია, ანუ ცხელების შიში. ამ ფობიაში იგულისხმება, რომ თუ ჩვენ გვაქვს მაღალი ცხელება და მაშინვე არ გამოვიყენეთ რაღაც საშუალება, შეიძლება, მან გამოიწვიოს კრუნჩხვა, შეიძლება, გამოიწვიოს თავის ტვინის დაზიანება და შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი. ამიტომ აქ საუბარია იმაზე, რომ 39-40 სიცხე ყოველთვის არის ნევროლოგიურად ცენტრალური ნერვული სისტემის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი. ეს ფობიაა, რაც ნიშნავს, რომ ამის უკან არაფერი დგას. ასე რომ, ეს ნამდვილად არ არის ასე და ტემპერატურის მატება არ განაპირობებს ცუდ გამოსავალს არცერთ ასაკობრივ ჯგუფში. არ არსებობს მტკიცებულებები, რომ ცხელების საწინააღმდეგო საშუალებები ამცირებს ფებრილური გულყრის განმეორების რისკს. ფებრილური გულყრა შეიძლება იყოს 37,5-ზეც და 38,9-ზეც, ამიტომ ძალიან ძნელია განსაზღვრა, როდის რა იქნება, მაგრამ, თუ ეცდებით, ხელოვნურად დააგდოთ ტემპერატურა, ყველა ავადმყოფობის შემთხვევაში ეს იქნება არასწორი, ვერ მიიღებთ შედეგს და, თუ გულყრა უნდა განვითარდეს, მაინც განვითარდება.

# ქართველი მხატვარი რჩეულთა შორისაა



ბრუკლინის ხელოვნების მუზეუმმა და ცნობილმა ბრიტანელმა კონცეპტუალისტმა არტისტმა ჯერემი დელერმა უჩვეულო და ღირსშესანიშნავი პროექტი განახორციელეს, რაც მსოფლიოს წამყვან მედიასაშუალებებში მთავარ თემად იქცა და საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა.

68 წლის ამერიკელი ვარსკვლავი, როკის ცოცხალი ლეგენდა იგი პოპი 21 რჩეული მხატვრის წინაშე სრულიად შიშველი წარდგა. მისი სხეული იმ დღეს ვიზუალური ხელოვნების ქმნილებად იქცა.

მხატვრებისგან შემდგარი ჯგუფი 19-დან 80 წლის ასაკამდე მხატვრებით დაკომპლექტდა, სადაც ყოველი მათგანი ერთმანეთისგან შემოქმედებითად განსხვავებული იყო. პროექტის ორგანიზატორებს მხატვრებზე რეკომენდაციებს ამერიკის ცნობილი სახელოვნებო უნივერსიტეტების სახელგანთქმული პროფესორები უწევდნენ.

დიდი კონკურენციის ფონზე, ბრუკლინის ხელოვნების მუზეუმის კურატორებმა და ჯერემი დელერმა აშშ-ში მოღვაწე მხატვრებიდან 21 რჩეული არტისტი გამოავლინეს, რომელთა შორის 24 წლის ქართველი მხატვარი ლევან სონღულაშვილიც აღმოჩნდა. ლევანი ქართველი საზოგადოებისთვის მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მისი ნამუშევარი „მედუზა“ სოთბის აუქციონზე სოლიდურ ფასად გაიყიდა.

პროექტის ფარგლებში ლევან სონღულაშვილის მიერ შექმნილი ნამუშევრები ბრუკლინის მუზეუმის წარმომადგენლების, პროექტის ორგანიზატორების, თავად ჯერემი დელერისა და იგი პოპის ყურადღების ცენტრში მოექცა.

ბრუკლინის მუზეუმის კურატორმა და ექსპოზიციებისა და კოლექციების მართვის ვიცედირექტორმა შერონ მეთ ატკინსმა განმარტა:

„ჩვენთვის დიდი სიამოვნება იყო ლევანთან ერთად ამ პროექტზე მუშაობა. მან განსაკუთრებული ნამუშევრები შექმნა და თავი მაღალპროფესიონალურად წარმოაჩინა“.

ლევან სონღულაშვილის მიერ შექმნილი ნამუშევრები უკვე ბრუკლინის ხელოვნების მუზეუმის საკუთრებაა.

ფართო საზოგადოებას ამერიკელი როკვარსკვლავისა და ლევან სონღულაშვილის მიერ შექმნილი ნახატების ხილვის საშუალება დანარჩენ ექსპონატებთან ერთად, ნიუ იორკში, ბრუკლინის ხელოვნების მუზეუმში, 2016 წლის შემოდგომაზე მიეცემა, სადაც მასშტაბური გამოფენისთვის მზადება მიმდინარეობს.

ორგანიზატორთა განცხადებით, ნიუ იორკის შემდეგ აღნიშნული გამოფენა აშშ-ის სხვა ქალაქების მუზეუმებსა და გალერეებშიც იმოგზაურებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# ასტროპროგნოზი

3 აპრილისათვის



**ვერძი** – საკუთარ ჯანმრთელობას ყურადღებით მოეკიდეთ. ზომიერად დაკავდით სპორტით. **კურო** – საქმიანი კონტაქტებისათვის შესაფერისი დრო არ არის. ახალი ნაცნობობა ნეგატიურ შედეგს გამოიღებს. **ტყუპები** – მიზნის მიღწევისთვის საბრძოლველად არაკეთილისმყოფელი დღეა. ერიდეთ სარისკო ფინანსურ ოპერაციებს. **კირჩხიბი** – დღეს ყველაზე არასასიამოვნო, რაც კი შეიძლება შეგემთხვეთ, ახლობელთან კამათი იქნება. მთლიანობაში, პოზიტიური პერიოდია. **ლომი** – ნებისმიერ დაბრკოლებას გადალახავთ, რაშიც თქვენი ენერგიულობა და პრინციპულობა დაგეხმარებათ. **ქალწული** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა ახალი საქმის დასაწყებად, შემოქმედებითი არეალის გასაფართოებლად. **სასწორი** – დაგროვილი ყოფითი პრობლემები დაუყოვნებლივ მოაგვარეთ, საღამოს კი გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე, გაერთეთ მეგობრებთან ერთად. **ღრიანკალი** – თუ გონიერი ადამიანის რჩევას არ გაითვალისწინებთ, დაზარალდებით. შინაგან დაძაბულობას თავს მარტივად ვერ დააღწევთ. **მშვილდოსანი** – აქტიურად დაისვენეთ. მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა სასარგებლო იქნება. **თხის რქა** – ენთუზიაზმით ხართ სავსე. გსურთ, ყველა საქმე ერთბაშად გააკეთოთ. ბედი გწყალობთ. **მერწყული** – საქმიანი შეხვედრები წარმატებას მოგიტანთ. ცივი გონებით იმოქმედეთ. **თევზები** – პირად ცხოვრებაში პრობლემები შეგექმნებათ. მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებთან ურთიერთობას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# სკანვორდი



1. პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი; 2. საგრილობელი; 3. ერთგვარი კანფეტი; 4. ვრცელი უშენი მინდორი; 5. თავბრუ; 6. მთა ამიერკავკასიაში; 7. გლინვის შედეგად მიღებული ლითონი; 8. ქიმიური ელემენტი; 9. მოხულიგნო ყმაწვილი; 10 მდინარე დასავლეთ საქართველოში; 11. ფრანგი მათემატიკოსი და ინჟინერი (1795-1870); 12. გვერდითი მსაჯი ფეხბურთში; 13. პატარა ორანძიანი იალქნიანი გემი; 14. ნოტი; 15. მამაკაცის საპერანგე ქსოვილი; 16. იგავ-არაკების ჟანრის ფუძემდებელი; 17. „და ... მუსიკა“ (გ.ყანჩელი); 18. ჭრილობა; 19. ცხოველთა სამყაროს შემსწავლელი მეცნიერება; 20. სახელმწიფო აფრიკაში; 21. ზღვისპირა კურორტი ქობულეთის რაიონში; 22. უნაყოფო ვაზი; 23. მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონი მამაკაცთა ჭადრაკში; 24. ხორციანი კორკოტი; 25. ერთგვარი ჯიშის ღოღნოშო; 26. „ ... ია“ (ი.გოგებაშვილი); 27. მომღერალი ... კრავეიშვილი; 28. გულთმისანი; 29. თვლებიანი მომცრო საზიდარი; 30. თავის კანი თმებიანად (ველურების ნადავლი).

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ტანკერი; 2. კაპუცინა; 3. ჰედერი; 4. ტოსკა; 5. მინისტრი; 8. ფოლკლორი; 12. დალი; 13. ციცერონი; 14. ბინოში; 16. ხიმინჯი; 18. ლობიო; 20. ლოქო.

**თარაზულად:** 6. მალვაზია; 7. ევერტონი; 8. ფატუმი; 9. ბერიო; 10. მიცუბიში; 11. გარდნერი; 15. ჰიპერტონია; 17. ფინიკი; 19. შარლატანი; 21. კოლუმბი; 22. ციტოლოგია; 23. კოკაინი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ყადი; 2. ახო; 3. ლილახანა; 4. რუ; 5. ასკურავა; 6. ნანა; 7. ხანჩალი; 10. ყავა; 11. მაკედონია; 12. ბარაკონი; 13. ჯიპი; 16. არაგვი; 18. არკადია; 19. მდოგვი; 21. რენტა; 24. დურდო.

**თარაზულად:** 1. ყეენობა; 3. ლაზერი; 8. ასტანა; 9. დუყი; 14. წვერა; 15. მიზერი; 17. რომა; 20. ნადური; 22. ვერძი; 23. დეკადა; 25. ბრა; 26. გუნო; 27. დაბა; 28. რეგისტანი.

## ყველაზე პოპულარული კატა გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა



იაპონელი კატა, სახელად მარუ, მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ კატად იქნა აღიარებული. ამ ინფორმაციას გინესის რეკორდების წიგნის ვებგვერდი ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ შოტლანდიური ჯიშის კატამ სახელი იუთუბის არხ მაგამოგუს წყალობით გაითქვა, რომელშიც მისი ვიდეორგოლები 337-მილიონჯერ იქნა ნანახი. ამგვარად, ცხრა წლის კატა ვიდეოხესტინგში ყველაზე ნახვადი კატა გახდა. თითოეული მისი ვიდეორგოლი ასეულობით ათას და უფრო მეტ ნახვასაც აგროვებს. მარუმდე არხის გმირად, რომელიც ცხოველებს ეძღვნება, ყველაზე მეტი ხელმომწერით ჰასკის ჯიშის ძაღლი, სახელად მიშკა იყო. მან სახელი იმით გაითქვა, რომ გამოსცემს ხმას, რომელიც ადამიანის ლაპარაკს წააგავს.

## ესპანეთში დაჭრილმა ხარმა მატადორი რქებზე წამოაგო



მადრიდში კორიდის დროს დაჭრილმა ხარმა მატადორი მიწაზე დააგდო, შემდეგ კი რამდენჯერმე ურქინა. მომხდარის ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ტორეადორს მისი კოლეგები კაპოტეს გამოყენებით (დიდი ლაბადა, რომელსაც ხარს ცხვირწინ უფრიალებენ) მიეხმარნენ. მათ ცხოველი წითელი ფერის ქსოვილის ქნევით გაიტყუეს, ამ დროს კი დაშავებული მატადორი არენიდან მაყურებლების აპლოდისმენტების თანხლებით გაიყვანეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ხარის შემდგომ ბედზე ინფორმაცია არ ვრცელდება.

## ამერიკელებმა სათევზაო ძუაში გახლართული პელიკანი გაათავისუფლეს




ორმა ამერიკელმა მოახერხა, გაეთავისუფლებინა პელიკანი, რომელსაც ნისკარტზე სათევზაო ძუა ჰქონდა დახვეული.

მამაკაცების ყურადღება მიიპყრო სანაპიროს მოაჯირზე მჯდომმა პელიკანმა, რომელსაც ნისკარტზე რაღაც ჰქონდა ჩამოკონწიალებული. უფრო ახლოდან დაკვირვებით შეთვალიერების შემდეგ გაირკვა, რომ ეს ძუა იყო და დახმარების გარეშე ფრინველს შიმშილით სიკვდილი ელოდა.

ერთ-ერთი მამაკაცი პელიკანს მიეპარა და ხელი ფეხებში სტაცა. მან ფრინველი, რომელიც ხელიდან გასხლტომას ცდილობდა, მიწაზე დასვა და გააკავა, ხოლო მისმა მეგობარმა პელიკანს ნისკარტზე დახვეული ძუა დანით შეაჭრა. ამის შემდეგ ფრინველი გაუშვეს და ისიც გაფრინდა.

## ინდოეთში მწყურვალ კობრას წყალი ბოთლით დაალევინეს



სამხრეთ ინდოეთში მდებარე დასახლება კაიგაში სამეფო კობრას წყლით ბოთლიდან გაუმასპინძლდნენ.

რეგიონი გვალვამ ძალიან დააზარალა და წყურვილისგან გატანჯული 3,5 მეტრი სიგრძის გველი ადამიანებთან მივიდა. ის სოფლელებს ყოველი შემთხვევისთვის კუდით ეკავათ და იქვე გველების დამჭერი სპეციალისტებიც მზად იყვნენ, მაგრამ კობრამ მშვიდად დალია წყალი, ისე, რომ ვინმეზე თავდასხმის მცდელობაც კი არ ჰქონია. მოგვიანებით ის გარეული ცხოველების დაცვის ადგილობრივ ცენტრში გადაიყვანეს.

შხამიან გველებს შორის სამეფო კობრა ყველაზე დიდი ზომისაა და ის ინდოეთის, პაკისტანის, ინდონეზიისა და ფილიპინების ტროპიკულ ტყეებში ბინადრობს. მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა 30 წელს აღემატება და, ამასთან, მთელი ამ დროის განმავლობაში აგრძელებს ზრდას. მის ძირითად რაციონს სხვა გველები და მღრღნელები შეადგენენ.

ინდოეთში სამეფო კობრის მიერ ადამიანის დაკბენის შემთხვევები იშვიათობას წარმოადგენს, მაშინ როდესაც სხვა გველების კბენისგან ქვეყანაში 50 ათასამდე ადამიანი იღუპება.

## ნიუ იორკის აეროპორტში ძაღლი-ნარკოკურიერი დააკავეს



აშშ-ში ნარკოტიკების შეტანის მცდელობა აღკვეთეს, რომელიც ძაღლის გადასაყვან გალიაში იყო დამალული.

ძაღლი ნიუ იორკში პუერტო-რიკოდან ჩაფრინდა თვითმფრინავის საბარგო განყოფილებით. ჯონ კენედის სახელობის აეროპორტში მას ორი ბოროტმოქმედი დახვდა. როგორც ჩანს, მათ იმედი ჰქონდათ, რომ ძაღლი ეჭვს არ გამოიწვევდა, ვინაიდან სწორედ იმავე მარშრუტით სარგებლობს ორგანიზაცია, რომელსაც აშშ-ში სამხრეთ ამერიკის ქვეყნებიდან პატრონების მიერ მიტოვებული ძაღლები გადაჰყავს.

აეროპორტში კონტრაბანდისტებს უკვე ელოდნენ პოლიციელები, რომლებსაც ხელთ ჩხრეკის ორდერი ჰქონდათ. ჩხრეკის შედეგად აღმოჩნდა, რომ ძაღლის გალიის ფსკერი ორმაგი იყო და მისი გახსნის შემდეგ მასში დაახლოებით 10 კილოგრამი ჰეროინი აღმოჩნდა. პოლიციის შეფასებით, ნარკოტიკების ღირებულება მილიონ დოლარს აღემატება.

## გიგანტური ალიგატორის გამო სამხრეთ კაროლინაში გოლფის ტურნირი შეჩერდა



ამერიკის სამხრეთ კაროლინის შტატში ალიგატორის გამო შეწყდა საქველმოქმედო ტურნირი გოლფში, რომელიც ერთ-ერთმა ადგილობრივმა საავადმყოფომ გამართა სოციალურად დაუცველთა მკურნალობისთვის თანხების შესაგროვებლად.

რეპტილია კერი მურმა შენიშნა, რომელიც საავადმყოფოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას ხელმძღვანელობს. ის გოლფის მოთამაშეებს სურათს უღებდა და ამ დროს შეამჩნია, რომ მათკენ უზარმაზარი ალიგატორი მიცოცავდა.

– ის თითქმის დინოზავრივით იყო, – ამტკიცებს მური, – ხალხის თქმით, ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ეგზემპლარია, რომელიც კი აქამდე უნახავთ.

სპორტსმენები მტაცებლისკენ ზურგით იდგნენ და ვერც კი წარმოედგინათ, თუ რა საფრთხე ემუქრებოდათ.

– მე სწრაფად გადავუღე სურათი და იმ გოლფ-კარტის მძღოლთან მივირბინე იმის გასაგებად, თუ რა უნდა მოვიმოქმედოთ, როდესაც მოედანზე ალიგატორია, – განაცხადა მურმა.

მან მძღოლთან ერთად მოახერხა მოთამაშეების ყურადღების მიქცევა და მათ მოედანი გოლფ-კარტებით დატოვეს, ხოლო რეპტილია იმ წყალსატევში გაუჩინარდა, რომლის მახლობლადაც მოთამაშეები იდგნენ.

## ბრიტანელი ქალი ედ შირანის სიმღერის გამო ციხეში ჩასვეს



ბრიტანეთის ქალაქ უილენჰოლის მცხოვრებ ქალბატონს სონია ბრაისს პატიმრობა იმის გამო მიესაჯა, რომ ის მეზობელს იმით აწუხებდა, რომ გაუთავებლად იმეორებდა ედ შირანის სიმღერას.

როგორც დაზარალებული ამტკიცებს, ბრაისმა სიმღერა Shape of You მაღალ ხმაზე ჩართო და ნახევარი საათი შეუჩერებლად იმეორებდა. შეწუხებული მეზობლის თქმით, მას ადრეც ხშირად აწუხებდა ბრაისის ბინიდან გამომავალი ხმაური, მაგრამ ეს ინციდენტი ბოლო წვეთი აღმოჩნდა მის მოთმინების ფიალაში.

მანამდე სასამართლომ ბრაისს მეზობლებისთვის ცხოვრების ხელისშეშლა აუკრძალა, ხოლო გასული წლის დეკემბერში ის ექვსი კვირით აღმოჩნდა საპატიმროში ამ განკარგულების იგნორირებისთვის. გათავისუფლების შემდეგ, სახლში დაბრუნებულმა, კვლავ ძველებურად ხმაური გააგრძელა. შეწუხებულმა მეზობელმა ისევ სასამართლოს მიმართა.

საქმის სასამართლო განხილვის დროს ბრაისმა ბრალდება უარყო. მან განაცხადა, რომ არ უყვარს შირანის შემოქმედება და ამიტომ მას დაუსრულებლად არ მოუსმენდა. მოსამართლემ მისი თავის მართლება არ გაითვალისწინა და რვა კვირით პატიმრობა მიუსაჯა.

სინგლი Shape of You იანვარში გამოვიდა, როდესაც ბრაისი პატიმრობაში იმყოფებოდა. სიმღერამ პირველი ადგილი დაიკავა დიდ ბრიტანეთში სინგლების ოფიციალურ ჰიტაღლუმში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

სპორტი

# ქუთაისელთა მეორე ადგილი და ინციდენტი ბათუმში

დასაწყისი მე-9 გვერდზე

რუსთაველებმა სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს – 72:73, თუმცა ეს იყო მაქსიმუმი. ბოლო წუთებზე ქუთაისელებმა მეტი სიზუსტე გამოიჩინეს და საბოლოოდ 10-ქულიანი გამარჯვება გაიფორმეს.

ქუთაისელებს 28 ქულითა და 6 პასით გიორგი ცინცაძემ ულიდერა. 17 ქულა დააგროვა გიორგი ბარბაქაძემ, ხოლო ბექა ბექაურმა შეხვედრა 16 ქულით დაასრულა.

რუსთავში 16 ქულით ბომბარდირი გახდა მორის ბრიგსი, 14 ქულა და 8 მოხსნა მოაგროვა ტომი სპანოლომ.

**ბათუმი-კაკტუსი 85:92**
**(19:24, 19:22, 28:26, 19:20)**

აჭარის დედაქალაქში ერთმანეთს პლეი ოფში გასასვლელად მებრძოლი კაკტუსი და ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფი ბათუმი შეხვდნენ. რაც ძირითადი ცენტრი, კრის ფელჩერი დაკარგეს, ზღვისპირელებს დიდი პრობლემები გაუჩნდათ და მოგების მოპოვებას ძალიან იშვიათად ახერხებენ.

ასე იყო ამ მატჩშიც – ბათუმს მასპინძლის სტატუსმაც ვერ უშველა და აჭარულმა კლუბმა მორიგი მარცხი იწვნია. მასპინძლებმა ბოლომდე იბრძოლეს, მატჩის მიწურულს ვითარებაც დაძაბეს, რასაც ერთ ეპიზოდში შეხლა-შემოხლა მოჰყვა.

მატჩის დასრულებამდე 3:19 წუთით ადრე, როცა კაკტუსი 85:75 იგებდა, კაკტუსელ დავით ლომიძესა და ბათუმელ კახა ჯინჭარაძეს შორის მოედანზე კონფლიქტი მოხდა, რომელიც შეკამათებით დაიწყო და კინკლაობაში გადაიზარდა. მატჩი მსაჯებმა შეაჩერეს და ვითარების განმუხტვაში დაცვის თანამშრომლებიც ჩაერთვნენ.

ტრიბუნიდან მოედანზე ჩავიდა ვეტერანი კალათბურთელი ვახტანგ ნაცვლიშვილი, რომელიც თბილისის დინამოს პრეზიდენტია და ბათუმში კაკტუსელთა საგულშემატკივროდ იყო ჩასული. ნაცვლიშვილი ითხოვდა ბათუმელი კახა ჯინჭარაძის ტექნიკური ჯარიმით დასჯას, რამაც ადგილობრივ გულშემატკივართა რეაქცია გამოიწვია. რამდენიმე მათგანი მოედანზეც ჩავიდა და ვითარება დაიძაბა, თუმცა დაცვის თანამშრომლებმა კონფლიქტის განმუხტვა მალევე მოახერხეს.



მატჩი გაგრძელდა და ბათუმელებმა დასრულებამდე 1 წუთით ადრე 4 ქულამდე მოახერხეს ჩამორჩენის შემცირება. ბოლო წუთზე კახა ჯინჭარაძეს სამქულიანით ჩამორჩენის მინიმუმამდე შემცირებაც შეეძლო, მაგრამ ბურთი კალათში არ ჩაეშვა და კაკტუსმა გამარჯვება გაინაღდა.

საბოლოოდ 92:85 და კაკტუსმა ცხრილში მე-4 ადგილზე გადაინაცვლა. გამარჯვებულებს 24 ქულით და 13 მოხსნით ტერიკ ბრიჯმენმა ულიდერა. 23 ქულა და 9 პასი ბექა ჩიკვილაძემ მოაგროვა. 17 ქულა და 15 მოხსნა დაგროვდა ჯონ ფლოვიესის ანგარიშზე.

ბათუმში 26 ქულითა და 11 მოხსნით საუკეთესო იყო იგორ კრივცოვი, ბესო ლეჟავას ანგარიშზე კი 22 ქულა და 7 პასი დაგროვდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 24 | 23 | 1 | 2133-1702 | 47 |
| 2.ქუთაისი | 24 | 18 | 6 | 1940-1802 | 42 |
| 3.რუსთავი | 24 | 13 | 11 | 1903-1907 | 37 |
| 4.კაკტუსი | 24 | 10 | 14 | 1896-2039 | 34 |
| 5.სოხუმი | 24 | 9 | 15 | 1928-2045 | 33 |
| 6.ბათუმი | 24 | 8 | 16 | 1827-1943 | 32 |
| 7.ოლიმპი | 24 | 8 | 16 | 1740-1796 | 31 |
| 8.მგზავრები | 24 | 7 | 17 | 1779-1912 | 31 |

**შენიშვნა:** ოლიმპს დაკლებული აქვს 1 ქულა

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## პროგრამა

ორშაბათი
3 აპრილი

**07.00** დოკ/ფ "ჯეიმის ამერიკული საგზაო თავგადასავალი" **08.00** კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "წიგნების თარო" **15.00, 03.00** "C სტუდია" **16.00** "მოამბე" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00,** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" **23.20** მხ/ფ "21" (კ.სპეისი) **01.20** მხ/ფ "**საგნების ფორმა**"(რ.ვაისი)

**08.00** დ/ფ "ევროპა XX დამალული ეპიდემია" **09.00** დ/ფ "იმპრესიონისტული სკანდალი" **10.00** დ/ფ "შავი მატერიის საიდუმლო" **11.00** დ/ფ "კოფი ანანი" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ბერლინი 1885 წელი" იერიში აფრიკაზე" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ცხოველთა სილამაზე" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია** " **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**სამოთხეში დაბრუნება**"

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.30** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** იუმორინა **23.30** სერ. "**თეთრი დედოფალი**" **1** სერ. **01.30** მხ/ფ "**ჯენიფერ რვა**"

**06.00, 19.00, 20.03** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** კომედი. კონცერტი (სხვა კონცერტი-2)

**08.00** ან/სერ. "პუკა" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**" **13.00** სერ. "**სიმართლის ანატომია**" **14.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **15.00** სერ. "**სასტუმრო**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **21.00** სერ. "**გომორა**" **22.30** მხ/ფ "**50 პირველი პაემანი**" **00.30** მხ/ფ "**ჰითჩი**" **02.45** მხ/ფ "**სურვილების სია**"

**06.15** ღვთის სახლი **06.35** პატერიკი-აღსარებით ცოდვათა მიტევების შესახებ **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** აკადემიკოს თ. გამყრელიძის გამოსვლა მოსკოვში ყრილობაზე **1989** წლის **30** მაისს **12.45** მოკ. მხ/ფ "**ძაღლი**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ანთურიუმ ანდრე" **15.10** ქართული ან/ფ **15.30** სპექტაკლი "მოძღვარი" III **16.30** დ/ფ "პლანეტა დედამიწა-უდაბნოები" **17.30** ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მცენარეები **17.55** შვიდგზის ლოცვა **18.05** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.30** ერთი წვეთი **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **19.25** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება-მე-6 კვირა-გიორგი გვასალია **20.40** ძილი ნებისა "ნაცარქექია" **20.55** შვიდგზის ლოცვა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.30** პატერიკი-ღვთიური სიმდაბლით მოსილი ეპიფანე **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან-"ბლუმენბახი" **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ღვთის სახლი-"ერედვის წმ. გიორგის სახელობის ტაძარი" **01.00** სათავეებთან-"ქართული ასომთავრული" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება** **10.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** სერ. "**გემი**" **23.10** სერ. "**ესკობარი**" **1.00** "კონტაქტი" **1.30** სერ. "**ქალბატონი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**3 აპრილისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4313

ევრო — 2.5959

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0270

100 რუსული რუბლი — 4.3139

**ამინდის პროგნოზი 3 აპრილისთვის**





## 24 მარტიდან

ინეს ალბრეხტ ენგელი, დოქ. მანფრედ ალბრეხტი

**ორსულობა და მშობიარობა**




**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## 29 მარტიდან



**საბავშვო ვეფხისტყაოსანი**

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## 31 მარტიდან

**მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები**

მაგარი ყდა
151 გვერდი




**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**


## ფეხმძიმე ბიონსეს ქანდაკება ყველისგან გამოძერწეს

მოქანდაკე დევიდ ბრედლიმ ყველისგან დაამზადა ამერიკელი მომღერლის ბიონსეს ქანდაკება. ეს ნაწარმოები საგანგებოდ ყველისა და ღვინის ფესტივალს მიეძღვნა, რომელიც ლონდონში გაიმართა.



„ბრი-იონსეს“ დასამზადებლად 20 კილოგრამი ჩედერი დაიხარჯა.

– და, დაე, ეს მთლად ბრი ნუ იქნება, მაგრამ არ ღირს, ფაქტებს გავაფუჭებინოთ ასეთი შთამბეჭდავი ყველის კალამბური, – აღნიშნა ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ.

ქანდაკება იმეორებს ფოტოსურათს, რომელიც მომღერალმა საკუთარ ინსტაგრამში მიმდინარე წლის თებერვალში განათავსა. ფოტოზე ფეხმძიმე ბიონსე საცვლებსა და გამჭვირვალე საქორწინო ფატაშია გამოწყობილი და ყვავილების კომპოზიციის ფონზე ზის. ფოტოსურათის კომენტარში ბიონსემ დაწერა, რომ ის თავის მეუღლე ჯეი-ზისთან ერთად ტყუპების მოლოდინშია. აღნიშნულმა ფოტომ დიდი პოპულარობა მოიპოვა და პირველი რვა საათის განმავლობაში 6,6 მილიონი მოწონება მიიღო (ამჟამინდელი მონაცემებით კი მოწონებების რაოდენობამ 10,8 მილიონს გადააჭარბა).

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



•••

კაცს ტყეში გზა აებნა და ყვირილი მორთო:

– აუუუ!

ამ დროს დათვი შეხვდა და ეკითხება:

– რას ყვირი?

– გზა ამებნა და ვიფიქრე, ვინმეს გავაგონებდი ჩემს ხმას.

– კარგი, გავიგე, მერე, მოგეშვა გულზე?

•••

სიდედრები და სიძეები ერთმანეთს რომ ეგუებოდნენ, ადამიანები მთელ პლანეტაზე არ განსახლდებოდნენ.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– საინტერესოა, თუ ადამიანები მაიმუნებისგან წარმოიშვნენ, მაშინ დედამიწაზე ამდენი მაიმუნი რატომაა დარჩენილი?

– სწორედ იგივე შეკითხვა დამისვა გუშინ ჩემმა ძაღლმა, ოღონდ, მგლებთან მიმართებით!

•••

ალკოჰოლი გამოსავალი კი არ არის, არამედ საოცარი ფერებისა და თავშეუკავებელი მხიარულების სამყაროში შესასვლელია.

•••

ბავშვმა მასწავლებელს დედის წერილი გადასცა, რომელშიც წერია:

– პატივცემულო მასწავლებელო, გთხოვთ, ჩემს შვილს საშინაო დავალებად აღარ მისცეთ ისეთი ამოცანა, სადაც წერია, რომ ერთი ბოთლი არაყი მხოლოდ სამი ლარი ღირს, თორემ ჩემი ქმარი მთელი ღამე დაძინებას ვერ ახერხებდა და დაუსრულებლად გაიძახოდა: „ნუთუ ასეთი ბედნიერი დროც არსებობდა?“

•••

სანამ ენაზე კბილების დაჭერას ისწავლით, ისინი უკვე დაგცვივდებათ!

•••

რესტორანში ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, იმ ოფიციანტთან დაწვებოდი?

– არაკორექტული კითხვაა, საყვარელო...

– და იმ ოფიციანტთან ღამის გატარებაზე რას იტყოდი?

– ამ კითხვაზე არ გიპასუხებ.

– და იმაზე რას იტყვი, დახლთან რომ დგას?

– არა!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.






## 21 მარტიდან

რეი ბრედბერი

**მარსის ქრონიკა**

მაგარი ყდა, 528 გვერდი

**ფასი გაზეთთან ერთად 19 ლარი**


## უეფა საქართველოს ნაკრებს ევროპირველობაზე მოხვედრის შანსს აძლევს



უეფას ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებით, საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი გაუჩნდა.

2014 წლიდან დაწყებულ საუბარს ქალაქ ნიონში წერტილი დაესვა და ნაკრებებს შორის ახალ ტურნირს – უეფას ერთა ლიგას ჩაეყარა საფუძველი. ერთა ლიგა სტარტს გაისად, 2018 წლის სექტემბერში აიღებს, ხოლო ფინალური ეტაპი 2019 წლის 5-9 ივნისს გაიმართება. ფინალური ეტაპის 4 საუკეთესო გუნდი ევრო 2020-ის საგზურს მიიღებს.

მივყვეთ სისტემას და რა შანსი აქვს საქართველოს...

უეფას წევრი 55 ქვეყანა სექტემბრისთვის უეფას რეიტინგით 4 სხვადასხვა დივიზიონში გადანაწილდება. თითოეულ ლიგაში 4 ჯგუფი იქნება (3 ან 4 ნაკრებით). უეფა იხელმძღვანელებს უეფას ქვეყნების რეიტინგით 2017 წლის 15 ნოემბრისთვის (იმ დროისთვის, როცა მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპი ევროპაში დასრულდება).

პირველ ლიგაში ითამაშებს საუკეთესო რეიტინგიანი 12 ნაკრები. უმაღლეს ლიგაში იქნება 4 სამგუნდიანი ჯგუფი. ბ ლიგაშიც 12 ნაკრები 4 სამგუნდიან ჯგუფებად დალაგდებიან. ც ლიგაში 15 ნაკრები ითამაშებს. იქ 4 ჯგუფი იქნება – 3 ოთხგუნდიანი და ერთიც სამგუნდიანი. დ ლიგაში კი, სადაც ჩვენი ნაკრები მოხვდება, 16 გუნდი იქნება და 4 ოთხგუნდიანი ჯგუფი შეიქმნება.

ახლა რა შანსი აქვს ჩვენს ნაკრებს: დ ლიგის გამარჯვებული, რომელიც 2019 წლის მარტის ოთხთა ტურნირში გამოვლინდება, ევრო 2020-ის ფინალური ეტაპის საგზურს მოიპოვებს. გამოდის, რომ საქართველოს ნაკრებმა უნდა მოიგოს ჯერ ჯგუფი დივიზიონში, შემდეგ კი 4 ჯგუფის გამარჯვებული 4 ნაკრებისგან შექმნილი ოთხთა ტურნირი. თუკი სავარაუდო მეტოქეებს შევხედავთ, ეს არ უნდა იყოს მიუღწეველი ოცნება.

**სავარაუდო მეტოქეები კი სადღეისოდ ასე გამოიყურება:**

ესტონეთი, ბელორუსი, საქართველო, ფინეთი, ლატვია, ფარერები, ყაზახეთი, მოლდოვა, ლუქსემბურგი, მაკედონია, კოსოვო, ლიხტენშტაინი, მალტა, ანდორა, სან მარინო და გიბრალტარი.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ საქართველო აუცილებლად მოიპოვებს ევროპირველობაზე თამაშის უფლებას, მაგრამ, თუ რამე ამბიცია გააჩნია, ამ გუნდებთან ამის გაკეთება უნდა მოახერხოს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ლეოპარდი; 6. დიდი რუპორი; 7. სამხრეთამერიკული სირაქლემა; 10. ბაღჩეული მცენარე ტკბილი ნაყოფით; 11. წრეწირის ნაწილი; 13. რჩეული ჯარი ზოგიერთ ქვეყანაში; 14. წიწვოვანი ხე; 16. სანელებელი; 17. შინაური ფრინველი; 18. ლომების ან ვეფხვების ჯოგი.

**შვეულად:** 1. სასწორის თეფში; 2. მხარე, მიდამო; 3. რაიმე პროფესიის ადამიანთა ერთობლიობა; 4. ერთგვარი რევოლვერი; 5. ქურციკი; 8. ერთ-ერთი თითი; 9. პურეული მცენარე; 10. პატარა მდინარე; 12. სულხან-საბას მშობლიური სოფელი; 13. საბერძნეთი; 15. შიშველი, წვეტიანი კლდე.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

